# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 11 მაისი, 2010 წელი.

№87 (6453)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




## ბესელიას მოთხოვნით დააპატიმრებენ მერაბიშვილს? 4



## რელიგიური შეუწყნარებლობის რა ფაქტები მოხვდა სახალხო დამცველის ანგარიშში? 2

## მოტყუებულ მეანაბრეებს მართლა დაუბრუნებენ ანაბრებს?.. 3

## კახეთში ადამიანებისა კი არა, თვით სახედრების დასაძმებაც გაჭირდა... 7





## ოპოზიციას უფასო რეკლამითაც უტეხენ ისედაც გატეხილ სახელს 3

## დაშინებული ეროვნული საბჭოს სიებიდან „გარბიან" 2



## „თორთლაძე არ არის ოპოზიცია და ეს ხალხმა უნდა იცოდეს" 2

## ერთადერთი, რასაც ხელისუფლება ჩვენთვის არ იშურებს, — სტრესია 7



## რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში ყოველთვის ცუდი იყო... 5

### დღის რუსული ანეკდოტი

პრეზიდენტ მედვედევის საცხრამაისო ნათქვამს, ომი ჩვენმა ხალხმა მოიგო და არა „სტალინმა ანდა გენერალურმა შტაბმა თავის მხედართუფროსებიანადო", ფარული ქვეტექსტი აქვს, რომელიც ასე უნდა გავიგოთ: ქვეყნის ეკონომიკის დანგრევაში ახლა დამნაშავე ისევ ხალხია და არა პრეზიდენტი ანდა პრემიერ-მინისტრი, თუმცა ერთიცა და მეორეც სახელმწიფოს ხელმძღვანელები არიან.



ბრიფინგი

# რატომ მოკლდება ეროვნული საბჭოს პარტიული სია?

**წინასაარჩევნო პერიოდში პოლიცია დეპოლიტიზებული რომ უნდა იყოს, ეს, ბუნებრივია, ვანო მერაბიშვილმა ყველაზე უკეთესად იცის, მაგრამ ხმაურიანი მოვლენები არჩევნების გამო და გარშემო, დამშვიდების საბაბს არ იძლევა. ამას წინათ წყობილებიდან გამოსულმა ზვიად ძიძიგურმა, როგორც თვითონ ჰყვება, მოძალადეები ჰაერში გასროლით მოიგერია, მაგრამ იმუქრება, რომ მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში იმავეს გაიმეორებს. საარჩევნო პლაკატების ჩამოხევა, ან მასზე ახლის გადაკვრა კანონით დასჯადია, მაგრამ ჩამოფხრეწილ-ჩამოკონწიალებული სარეკლამო სურათების გამო ციხეში ჩაყუდებული, ან დაჯარიმებული ჯერ არავინ გვინახავს. რატომღაც პლაკატების გამო მხოლოდ ოპოზიციონერები ღელავენ, ხოლო ხელისუფლება პრეტენზიებს არც გამოთქვამს.**



ვანო მერაბიშვილის „უმოქმედობის“ გამო მცირდება ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში საზეიმოდ წარდგენილი „ეროვნული საბჭოს“ მაჟორიტარების სია(!ძ რადგანაც საბჭოს ლიდერები ამ ფაქტს ხელისუფლების შანტაჟითა და ფიზიკური ანგარიშსწორებით გამოწვეული ვითარებით ხსნიან, თანაც ამბობენ, რომ განსაკუთრებული აგრესიულობით ხელისუფლება მათ მიმართ გამოირჩევა; ქვეტექსტად კი იმას გულისხმობენ, რომ სწორედ „ეროვნული საბჭოა“ ხელისუფლების ალტერნატივა და ამიტომაც ეშინია.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე „სამართლიანი საქართველოსთვის“ საარჩევნო მდივანმა ლადო ბოჟაძემ აღნიშნა, რომ „ეროვნული საბჭოს“ დასახელებული საკრებულოს წევრობის კანდიდატების დაშინება, შანტაჟი და ფიზიკური ანგარიშსწორება გრძელდება: **„კახეთისა და სვანეთის რეგიონების შემდეგ ხელისუფლებამ არეალი გააფართოვა და ამჟამად ჯერი სამცხე-ჯავახეთზე მიდგა. ახალქალაქში საკრებულოს წევრობის კანდიდატების მიმართ ზეწოლა ხორციელდება, რათა მათ უარი თქვან თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობაზე“.** ბოჟაძის თქმით, სადამსჯელო კამპანიას რაიონის გამგებელი ვიტალი თოროსიანი, ყოფილი დეპუტატი ჰამლეტ მოვსესიანი და უშიშროების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კახა ხუციშვილი ხელმძღვანელობენ: **„გომნიას საარჩევნო უბანი მთლიანად მოვსესიანის ოჯახის წევრებით არის დაკომპლექტებული. ჰამლეტ მოვსესიანი კი დღემდე ატყუებს მოსახლეობას, რომ იგი ამჟამადაც საქართველოს პარლამენტის წევრია“,** — აღნიშნა ლადო ბოჟაძემ.



ბრიფინგზე ითქვა, რომ ახალქალაქის თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა სიები ხელოვნურად არის გაზრდილი. მაგალითად, სოფელ ხორენიაში 430 ამომრჩეველია, როცა სოფლის მცხოვრებთა რეალური რიცხვია 300. ასევე **„ახალქალაქის რესურცენტრის ხელმძღვანელი საჯარო სკოლის დირექტორებს უშიშროების სახელით აძლევს დავალებებს, რათა უარი ათქმევინონ პედაგოგებს „ეროვნული საბჭოს “ პარტიულ სიებში ყოფნაზე და მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრაზე“** — ამბობს სამართლიანი საქართველოსთვის“ აქტიური წარმომადგენელი.

საგულისხმოა, რომ ხელისუფლების რეპრესიების გამოისობით უკვე აღარ აქვს პარტიული სია ეროვნული საბჭოს ყვარელსა და ლენტეხში, ასევე 30-მდე მაჟორიტარობის კანდიდატმა თავად გადაწყვიტა უარი ეთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე.

წინასაარჩევნო დარღვევების ფაქტებს გამოეხმაურა პარლამენტარი გურამ ჩახვაძე, რომელმაც საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე კონკრეტული მაგალითებიც დაასახელა. ერთ-ერთი ლანჩხუთში მოხდა, სადაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი დაიბარეს და არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმისკენ მოუწოდეს. ჩახვაძის ინფორმაციით, პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ხელისუფლებისგან პირობა მიიღო, რომ წინასაარჩევნოდ პატიმრების ოჯახებსა და პროზაციონერებზე ზეწოლა არ განხორციელდება.

**როგორ ასრულებს დაპირებებს ხელისუფლება, ყველამ კარგად ვიცით, თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ არჩევნებზე ცემა-ტყეპის, დაშინების, მუქარისა და საერთოდ დიდი ნერვების წყვეტის გარეშეც არ უჭირს მაინცდამაინც ოპოზიციის დამარცხება, ვინაიდან მას ყველაზე მნიშვნელოვანი — ტელეარხები და სახელისუფლებო რესურსები ხელთ უპყრია.**

თეა მოსია

ინფორმაცია

## თორთლაძე არ არის ოპოზიცია... ეს ყველამ უნდა იცოდეს!!!

**თორთლაძე-დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა ბათუმის №4 და № 5 საარჩევნო ოლქებში ნოდარ კილაძემ და თეიმურაზ ცინარიძემ საკუთარი კანდიდატურა „ალიანსი საქართველოსთვის“ კანდიდატების სულხან ღლონტისა და თემურ ყურაშვილის სასარგებლოდ მოხსნეს.**

**„ალიანსი საქართველოსთვის“ კანდიდატები თავიანთი კოლეგების ნაბიჯს პოზიტიურად აფასებენ და აცხადებენ, აღნიშნულით აშკარად დასტურდება, რომ გია თორთლაძის ოპოზიციაში ყოფნა ფარსია.**

**— როგორც კი კილაძემ და ცინარიძემ გააცნობიერეს, რომ თორთლაძის პარტიის ძირითადი სტრატეგია იყო არა გამარჯვება, არამედ ოლქებში „ალიანსი საქართველოსათვის“ ხმების წართმევა სახელისუფლებო კანდიდატების სასარგებლოდ, მათ ღირსეული გადაწყვეტილება მიიღეს, — განაცხადა „ალიანსი საქართველოსათვის“ კანდიდატმა ბათუმის №4 საარჩევნო ოლქში სულხან ღლონტმა.**

**ღლონტის თქმით, კილაძისა და ცინარიძის გადაწყვეტილება და ის არგუმენტები რის საფუძველზე ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული ნათლად ადასტურებს, რომ „თორთლაძე არ არის ოპოზიცია და ეს ხალხმა უნდა იცოდეს“.**

## მთავრობა თურმე მარტო „კავკასიის“ ჟურნალისტებს იცავს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებულ 7 პიროვნებას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.**

**მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა პატიმრების თავდებით გათავისუფლებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.**

**ისინი დაკავებულები არიან ორ მუხლით - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით, რაც ჟურნალისტების საქმიანობაში ხელის შეშლას გულისხმობს და ითვალისწინებს ორ წლამდე პატიმრობას. მეორე — 239-ე ხულიგნობის მუხლი, რაც ითვალისწინებს 2-დან 5 წლამდე პატიმრობას.**

**სულ დაკავებული იყო 8 პირი - ლევან ჩაჩუა, ავთო ზუმბაძე, ლევან ტურაშვილი, დავით შალამბერიძე, გიორგი გაბედავა, რატი მაისურაძე, შოთა აფხაიძე, ზვიად ბლიაძე. აქედან ერთი — ლევან ტურაშვილი უკვე გაათავისუფლეს.**

**ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული ზვიად ბლიაძის მამა გივი ბლიაძე, პოლიციის სამმართველოსთან, ინფარქტით გარდაიცვალა.**

## კანადაში დაკარგული ქართველი გოგონას მამა დააკავეს

**კანადის პოლიციამ რამდენიმე თვის წინ დაკარგული ქართველი გოგონას — მარიამ მახნიაშვილის მამა ვახტანგ მახნიაშვილი დააკავა.**

**ინფორმაციას ამის შესახებ კანადური ტელეკომპანია ავრცელებს.**

**სამართალდამცველების ინფორმაციით, ვახტანგ მახნიაშვილი თავს საკუთარ მეზობელს დაესხა. გავრცელებული ცნობით, მისი დაკავება დაჭრილის სტუმრებმა მოახერხეს. დაშავებულის ვინაობა ამ დრომდე უცნობია. ის ადგილობრივ საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

**დაკავებულ ვახტანგ მახნიაშვილს ბრალს რამდენიმე მუხლით წაუყენებენ. აღსანიშნავია, რომ გამოძიება იმ ვერსიაზეც მუშაობს, თუ რამდენად არის დაკავშირებული ვახტანგ მახნიაშვილის ქმედება მისი შვილის მარიამ მახნიაშვილის გაუჩინარებასთან, რომელიც „ფორესთ ჰილიდან“ სექტემბერში გაუჩინარდა.**

**გოგონას დაკარგვის შესახებ პოლიციამ ინფორმაციის მოპოვება ამ დრომდე ვერ მოახერხა.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კანადის პოლიციის მიერ ვახტანგ მახნიაშვილის დაკავების ფაქტს არ ადასტურებს. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვითარება

# რელიგიური შეუწყნარებლობის რა ფაქტები მოხვდა სახალხო დამცველის ანგარიშში?

**სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში თავის ანგარიშში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“ შეუწყნარებლობაში ადანაშაულებს. კერძოდ, როგორც ანგარიშშია ნათქვამი, 2009 წლის 16 სექტემბერს ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში, რომელიც მთლიანად აზერბაიჯანელი მუსლიმებითაა დასახლებული, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და სასულიერო პირების ხელმძღვანელობით მართლმადიდებელ მორწმუნეთა აგრესიულად განწყობილი 50-70-კაციანი ჯგუფი შევიდა, რომელმაც სოფლის მოსახლეობისგან ძველი მეჩეთის ნანგრევების რეკონსტრუქციის შეჩერება მოითხოვა. ამასთან, აზერბაიჯანელი მუსლიმანების წინააღმდეგ ქსენოფობიურ რიტორიკას იყენებდნენ და მათ „საქართველოში სტუმრებს“ უწოდებდნენ. „მოთხოვნის შედეგად მუსლიმანებმა მეჩეთის მშენებლობა შეაჩერეს, აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებმა კი მეჩეთის წინ პიკეტირება დაიწყეს.**



ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მათ ზეპირსიტყვიერად მიიღეს თანხმობა მეჩეთის მშენებლობაზე, თუმცა არა აქვთ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული ნებართვის სახით, რაც მშენებლობის განხორციელების კანონიერი საფუძველია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ „მშენებლობის შეჩერების პრეროგატივა სახელმწიფოს აქვს და არა რომელიმე რელიგიურ ჯგუფს“, — ნათქვამია სახალხო დამცველის 2009 წლის II ნახევრის ანგარიშში.

გარდა ამისა, ტუღუშის ანგარიშში 2009 წლის 10 დეკემბრის შემთხვევა მოხვდა. სახალხო დამცველის მონაცემებით, „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის“ ორგანიზებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საგანმანათლებლო კონფერენციაზე, რომელიც ისლამის საკითხებს შეეხებოდა, დარბაზში მყოფი „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრები გამომწვევად მიმართავდნენ შეკრებილებს, რამაც კონფერენციის მონაწილეებს საშუალება აღარ მისცა, შეხვედრის სადისკუსიო ნაწილი გაეგრძელებინათ. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მიერ შეუწყნარებლობის გამოვლინების ობიექტი რამდენჯერმე გახდა კათოლიკე მრევლიც.

კერძოდ, 2009 წლის 6-7 ოქტომბერს დაახლოებით 80 ადამიანი შევიდა ადიგენის რაიონის სოფელ არალში და დაბა ვალეში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეა. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ორგანიზებულ ჯგუფს სასულიერო პირები მიუძღოდნენ. ისინი არიგებდნენ ცილისმწამებლურ, ანტიკათოლიკურ ბროშურებს, რომ კონკრეტულად საქართველოში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირები ახორციელებენ სექსუალურ ძალადობას ბავშვებზე, არიან პედოფილები და მოსახლეობას კათოლიკე მღვდლებისაგან საკუთარი შვილების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ.

2009 წლის 15 ოქტომბერს კი თბილისში, ვატიკანის საელჩოსთან, ერთდღიანი მანიფესტაცია გაიმართა. მანიფესტანტებს გაშლილი ჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც კათოლიკეთა შეურაცხმყოფელი და ქსენოფობიური შინაარსის წარწერები იყო გაკეთებული. ამასთან, 2009 წლის 17 ოქტომბერს თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე ასურელთა კულტურის ცენტრი გაიხსნა, რომლის ნაწილია ასურელ კათოლიკეთა ტაძარი.

როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია ნათქვამი, ცენტრის გახსნის დღეს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ მცირე ხნით ტაძრის შესასვლელი გადაკეტა და ანტიკათოლიკური შინაარსის ქსენოფობიური ტრანსფარანტები გაშალა. ცენტრის შესასვლელი საპატრულო პოლიციის მოთხოვნით, მაშინ გაათავისუფლეს როდესაც ასურელთა კულტურის ცენტრის საზეიმო გახსნა უნდა დაწყებულიყო, რომელშიც რამდენიმე ქვეყნიდან მოწვეული კათოლიკე სასულიერო პირები, ასევე ასურელ-ქალდეველთა პატრიარქი და საქართველოში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ღონისძიების მეორე დღეს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმა ცენტრის შესასვლელი კვლავ გადაკეტეს, თუმცა ამ შემთხვევაშიც — მცირე ხნით.

„შეუწყნარებლობის ამგვარი გამოვლინებები მიუღებელია ლიბერალური და პლურალისტული საზოგადოებისთვის, რომლის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი საფუძველი რელიგიური ტოლერანტობაა“, —ნათქვამია სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში, რომელიც განსახილველად პარლამენტის სესიაზე ჯერ არ გასულა.

პირველი

◎ აუცილებლად გადასაჭრელი პრობლემა




№12

პოლიტიკური პარტია

„ჩვენი ქვეყანა“




# მივმართავთ

# მეანაბრე-ამომრჩევლებს!..

**ძვირფასო მეგობრებო, ცნობილი ფაქტია, რომ 1992 წლის ივლისში შევარდნაძის ხელისუფლებამ მსოფლიო მნიშვნელობის აფიორა ჩაიდინა.**

ხელისუფლებამ 1992 წლის ივნისში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოსახლეობას მიმართა, რომ ვინც ივლისის თვის განმავლობაში სახელმწიფო შემნახველ სალაროებში ანაბარს შეიტანდა, მიიღებდა გაორმაგებულს.

მოსახლეობამ ირწმუნა ხელისუფლების ეს მოწოდება და ვისაც რა თანხა გააჩნდა, დაიწყეს შეტანა შემნახველ სალაროებში. ზოგმა, თანხების უქონლობის გამო, გაყიდა თუ რაიმე ბანძეული გააჩნდა ოჯახში, ნაწილმა საცხოვრებელი ბინებიც მიაყოლა თანხების გაორმაგების იმედით და ერთ თვეში სალაროში შეიტანას 8 მილიარდი მანეთი, რის შედეგადაც 2.5 მილიონ მეანაბრეს დაერიცხა 20 მილიარდ მანეთზე მეტი.

ამავე მეთოდით დატოვეს მოტყუებული კერძო-კომერციული ბანკების: „აჩის“, „ოქროს თასის“, „სპექტრის“ და სხვათა 50.000 მეანაბრე 17 მილიონი დოლარის კრედიტორის ამპლუაში. ეს თანხა ვალად დაედო სახელმწიფოს. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ბანკებს ლიცენზიებს აძლევდა სახელმწიფო, ისინი უწევდნენ პროპაგანდას მათ საიმედოობასა და სარგებლიანობას და ბიუჯეტშიც შეჰქონდათ გარკვეული პროცენტები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია ეს ვალი გადაუხადოს დაზარალებულებს და შემდეგ, რეგრესის წესით, აინაზღაუროს დამნაშავე ბანკებისგან.

თქვენი დარღვეული უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის 1996 წლიდან უანგაროდ იბრძვის ჩვენი პარტიის მთავარი საბჭოს წევრი, მეანაბრეთა ლიგის თავმჯდომარე, დამსახურებული იურისტი, აკადემიკოსი **უშანგი დონჯაშვილი**.

მან მოიარა საქართველოს ყველა სახელისუფლებო და სამართალდამცავი ორგანოები, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოც! ვინაიდან დადებით შედეგს ვერ მიაღწია, საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში, სადაც დააკმაყოფილეს მისი სასარჩელო მოთხოვნა და პრეზიდენტ შევარდნაძეს გააუქმებინეს 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულება, როგორც ანტიკონსტიტუციური და ანტისამართლებრივი.

ბატონმა უშანგი დონჯაშვილმა 13-წლიანი ბრძოლის შემდეგ




შექმნა მტკიცებულებების ხუთტომეული და რეალური საფუძველი ჩაუყარა მეანაბრეთა ვალების ეტაპობრივად დაბრუნების დაწყებას, საამისო თანხებიც რეალურად არსებობს, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა.

ჯერ ერთი, მოქმედი პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი ამ საშვილიშვილო საქმეში მეანაბრეთა მხარდამჭერია, რასაც ადასტურებს ნაციონალური მოძრაობის მიერ საარჩევნო კამპანიის დროს გავრცელებული ათასობით ბუკლეტი, სადაც აღნიშნულია პრეზიდენტის მოთხოვნა: **„სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა, დავიბრუნოთ ჩვენი ანაბრები“.**

მეორე, საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობის პერიოდში შეიძლება კიდევ დაემატოს 81 უმდიდრესი ქართველი ბიზნესმენის ძველმოქმედებით შემოსაწირი თანხები ძველმოქმედებაში ცნობილი მილიარდელების ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისა და ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით.

ამრიგად, ამ ტიტანური შრომის შედეგად მეანაბრეთა საქმის 95 პროცენტი გაკეთებულია, 5 პროცენტიც დაემატება საკრებულოში უმრავლესობის ჩვენი შესვლით და... 13-წლიანი ბრძოლაც დამთავრდება.

ჩვენი პარტია შედგება პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტი ახალგაზრდობისგან, რჩეული ინტელიგენციისგან. ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია, ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ!

მეანაბრეებო, ახლა თქვენი ბედი თქვენს გონიერებაზეა დამოკიდებული. თუ აბსოლუტური უმრავლესობა საარჩევნო ბიულეტენებში შემოხაზავთ №12-ს, გახარებული და გამარჯვებული დარჩებით!

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ამ რეალურ შანსს ხელიდან გაუშვებთ და წყალს გაატანთ ჩვენს უანგარო ტიტანურ შრომას, თქვენთვის აღარავინ მოიცლის და სამუდამოდ დაკარგავთ ანაბრებს, ხოლო უმადურობის გამო ჩვენც შევწყვეტთ ამ საკითხზე მუშაობას.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ 1994 წლამდე საქართველოში 2.5 მილიონი მეანაბრე ირიცხებოდა. ჩვენი მონაცემებით 25 პროცენტი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ ეღირსა თავისი ნაშრომის მიღებას და ეს ტკივილი სამარემდე ჩაიტანა. მემკვიდრეობის კანონის თანახმად, თუ დაიწყება ანაბრების გაცემა, გარდაცვლილთა ანაბარი გადავა მათ მემკვიდრეებზე.

**საქართველოს სახელმწიფო შემნახველი და კერძო კომერციული ბანკების მოტყუებულ მეანაბრეთა საყურადღებოდ ვაცხადებთ:**

**2010 წლის 23 მაისს, დღის 3 საათზე, თბილისში, იპოდრომის მოედანზე დანიშნულია სრულიად საქართველოს მეანაბრეთა თავყრილობა. გთხოვთ დაესწროთ, სადაც გაეცნობით საქმის რეალურ ვითარებას და ერთობლივად მივიღებთ გადაწყვეტილებას, როდის და რა პირობებში დავიწყებთ თქვენი ანაბრების ეტაპობრივად გაცემას.**

**თან იქონიეთ შემნახველი სალაროს წიგნაკების ასლები, ან გამოაგზავნეთ ფოსტით მისამართზე: თბილისი, აკურის ქ. №8. სპორტის სასახლის უკან.**

**ვისაც დაკარგული აქვს შემნახველი სალაროს წიგნაკი, უნდა წარმოადგინონ პირადი ცნობა როდის, სად და რა რაოდენობის თანხა აქვს შეტანილი შემნახველ სალაროში.**

პოლიტიკური პარტიის „ჩვენი ქვეყანა“ თავმჯდომარე

**თამაზ ღუღუნიშვილი.**

2010 წლის 3 მაისი

ტ. 893 592 339.

◎ წინ არჩევნებია

# უფასო რეკლამა პოლიტიკური ბიზნესისთვის

**როგორც ცნობილია, ქართული პოლიტიკა უკვე კარგა ხანია ბიზნესის ყველაზე უსაქმურ და ყველაზე „მომგებიან“ მიმართულებად ჩამოყალიბდა.**

ამ „ბიზნეს გარემოში“, ანუ ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც მოხდა ე.წ. „ტერიტორიების“ გადანაწილება და რამდენიმე „ოჯახი“, ან უფრო რბილად რომ ვთქვათ, სხვადასხვა ძალისა და ფინანსური მდგომარეობის რამდენიმე „საწარმოო ჯგუფი“ დაარსდა.

ეს ჯგუფები პირობითად შეგვიძლია დავყოთ სამ კატეგორიად, რომელთაგან პირველში მხოლოდ ერთი, ფინანსურად საკმაოდ ძლიერი სინდიკატია (საოცარია, მაგრამ სხვადასხვა კვლევების შემდეგ გაირკვა, რომ ამ „კომპანიას“ მაინცდამაინც მყარი ნიადაგი არ აქვს). მეორე ჯგუფში შედის რამდენიმე შპს, რომლებიც ძირითადად თავიანთი „პირადი დანაზოგებისა“ და უცხოეთიდან მოზიდული „ინვესტიციების“ საშუალებით ახერხებენ „ტივტივს“, ხოლო მესამე ჯგუფში რამდენიმე „ბუტკის“ (გნებავთ ჯიხურის) მფლობელი „ინდმეწარმე“ „იბრძვის არსებობისთვის“.

პირველ ჯგუფში შემავალი „სინდიკატი“ ფაქტობრივად სრულად აკონტროლებს მომხმარებელთან მისვლის ყველა საშუალებას. მეორე ჯგუფში შემავალ „ფირმებს“, უფრო „უცხოურად“ მოაზროვნე მოქალაქეები ეტანებიან (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, „რუსულად“ აზროვნებენ ისინი, თუ „დასავლურად“. ბუნებრივია ისიც, რომ როგორც თავად „ფირმები“, ასევე მათი „კლიენტები“ ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულნი). რაც შეეხება „ბუტკების“ მფლობელებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ „თბილ ლუდს“, გაურკვეველი წარმოშობის არაყსა და ძეხვს სთავაზობენ მომხმარებელს, თავიანთი კლიენტურა მაინც ჰყავთ.

საქართველოს დანარჩენმა მოქალაქეებმა, კარგად იციან, რომ მათ მიერ შემოთავაზებული „საქონელი“ უვარგისია და შეძენის, ანუ არჩევნების შემდეგ, მაქსიმუმ ერთი კვირა გაძლებს, მაგრამ ქართული ფსიქოლოგიიდან გამომდინარე („ახლობლები არიან და რა ვქნა“, „მე პოლიტიკაში არ ვერევი“, „რაც უნდათ, ის უქნიათ“), არ ფიქრობენ მათთვის „საქმიანობის უფლების“ ჩამორთმევაზე და ისეთი პოლიტიკური გარემოს შექმნაზე, რომელიც თავად კი არ გადაიქცევა ბიზნესად, არამედ მის განვითარებას და ბოლო-ბოლო ნორმალური ცხოვრების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

კარგით, ამ სევდიან „ბიზნეს კურიერს“ თავი დავანებოთ და მწარე რეალობას მივხედოთ.

რადგანაც ყველამ ვიცით, რომ „რეკლამა ბიზნესის და ვაჭრობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა“, მოდით ვნახოთ, თუ როგორი ფორმებით გვთავაზობენ თავიანთ „პროდუქციას“ ჩვენი პოლიტიკოსები.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ქართული პოლიტიკური რეკლამის ერთი მეტად საინტერესო ფორმა: რატომღაც პოლიტიკოსები თვლიან, რომ მხოლოდ სატელევიზიო რეკლამა, ანუ მათი ტელევიზორის ეკრანებზე გამოჩენაა ყველაზე მეტად მომგებიანი და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იციან, რომ ყველა წამყვანი ტელეარხი მათ კონკურენტ „ფირმას“, ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკუთვნის, მაინც „ცისფერი ეკრანისკენ“ მიუწევთ გული (არ ვიცი რის გამო ხდება ეს. შესაძლებელია, რომ მათ უბრალოდ არ შეუძლიათ ვრცლად ისაუბრონ თავიანთი გეგმების შესახებ. შესაძლებელია, რომ მათ ასეთი გეგმები საერთოდ არ გააჩნიათ, ან ეს მარტივი ტაქტიკაა. მერე იტყვიან — დაგვიჭრესო).

ვერ გეტყვით ხვდებიან, თუ არა, რომ მათ ორწამიან გამოჩენას „ნაციონალური მოძრაობის“ იმ „სარეკლამო რგოლებში“, რომლებსაც „კურიერი“, თუ „ქრონიკა“ ჰქვიათ, დაახლოებით ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორიც რომელიმე სარეცხი ფხვნილის რეკლამის დროს, გვერდზე დადგმულ უფერო ყუთს წარწერით „სხვა ფხვნილი“.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითი, 6 მაისს ორივე „კურიერში“ გასული ის სიუჟეტები იყო, რომლებიც გიორგობის დღესასწაულზე, პოლიციის დღის აღნიშვნის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციის გასაშუქებლად იყო მომზადებული.

ჯერ აჩვენეს ავტობუსებითა და პოლიციის კორდონით შეჩერებული აქცია, შემდგომ დაბნეული „ლიდერების“ მსჯელობა, თუ რა უნდა ექნათ. შემდეგ გია გაჩეჩილაძის მოწოდება, რომ შემოვლითი გზით მისულიყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან. ამ მოწოდების შემდეგ აჩვენეს, თუ როგორ მიდიოდა რელსებზე გია გაჩეჩილაძე და როგორ „შეეჯახნენ“ პოლიციის კორდონს ზაქარია ქუცნაშვილი, რამდენიმე აქტივისტი და გია გაჩეჩილაძე. შემდეგ კი უკან დახეული და ქვების მსროლელი ბიძინა გუჯაბიძე და შუა ხნის მამაკაცი. აჩვენეს იქვე მოტრიალე ვიღაც მსუქანი ქალბატონი, აქციის დასისხლიანებული მონაწილეები და ბოლოს ქუცნაშვილის მოწოდება „ლიდერებისადმი“, გაეშვათ თავიანთი ხალხი სახლებში (ისევ სახლებში!!!). ბოლოს კი აჩვენეს ოპოზიციის შეკრება სააკაძის მოედანზე, რომელიც ასევე საკმაოდ პროფესიონალურად იყო „დაჭრილი“ და გამომსვლელების სიტყვებიდან „საჭირო“ ადგილები ამოღებული.

მოდით ვნახოთ თუ როგორ ადგილას იყო ჩასმული ეს სიუჟეტი და რა რეაქცია ექნებოდა მაყურებელს საინფორმაციო გამოშვებების ნახვის შემდეგ.

გამოშვებების წინა ნაწილში აჩვენეს პოლიციის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი, პრეზიდენტის გამოსვლები ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და შემდეგ აჭარაში. აჩვენეს, თუ როგორ კითხულობს ნაწყვეტს „ვეფხისტყაოსნიდან“ პრეზიდენტი. აჩვენეს გიორგობისადმი მიძღვნილი ზეიმი ძველ თბილისში. აჩვენეს ლამაზი გოგონები, მოცეკვავეები, ბავშვები ბედნიერი, მომღიმარე ხალხი და ამას მოაყოლეს საპროტესტო აქცია.

იხ. 4 გვ.

◉ პრესკონფერენცია

# ბესელია ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებას ითხოვს




**მას შემდეგ, რაც ეკა ბესელიამ პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ სკანდალურად დატოვა ირაკლი ოქრუაშვილთან განხეთქილების გამო, უკანონო პატიმრების პრობლემაზე ზრუნვით დაკავდა. ის საზოგადოებრივი მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერია და ოპოზიციურ პარტიებთან და ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად ცდილობს ამგვარი პატიმრების რიცხვის შემცირებას. ისიც აღსანიშნავია, რომ ეკა ბესელიას შვილი და ძმა ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან და თავად ამ ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მიიჩნევს ხელისუფლების მხრიდან.**

მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციების მიუხედავად, ჯერ არც ერთი უკანონოდ მიჩნეული და პოლიტპატიმარი არ გაუთავისუფლებიათ საპყრობილედან, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მათი რიცხვი გაიზარდა და მოახლოებულ არჩევნებთან ერთად, ალბათ, კიდევ მოიმატებს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეკა ბესელიამ 6 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის სიახლოვეს მომხდარი ინციდენტის გამოძიება და შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. (მომიტინგეებსა და სპეცრაზმს შორის მომხდარი დაპირისპირება იგულისხმება).

მოძრაობაში „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ფიქრობენ, რომ მომხდარი აშკარა დანაშაულია, ხოლო პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი მუხლებით უნდა დაიწყოს: დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, დევნა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა.

ეკა ბესელიას განცხადებით, პოლიციის თანამშრომელთა ქმედებაში ყველა საფუძველი არსებობს, რომ მთავარმა პროკურატურამ საქმეზე წინასწარი გამოძიება დაიწყოს. „მანიფესტაციები, კანონის სრული დაცვით, „ვარკეთილის“ მეტროდან დაახლოებით 200-300 მეტრის დაშორებით მშვიდობიანი ფორმით აპროტესტებდნენ პოლიციის მხრიდან პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ რეპრესიებსა და დაპატიმრებებს, ასევე – გიორგობის დღესასწაულის პოლიციის დღედ გამოცხადებას. პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმების ჯგუფები ავტომანქანებით, სპეციალური საშუალებებით, ავტობუსებით კეტავდნენ ყველა გზას და მომიტინგეებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც მნიშვნელოვნად იყო დაშორებული პოლიციის აღლუმს.

თავდაპირველად, შეტაკების პროვოცირება სპეცრაზმის უკან მყოფი პირებმა მოახდინეს, ქვის სროლითა და აქციის ერთ-ერთი მონაწილის ცემით, რომლის შემდეგაც სპეცდანიშნულების რაზმი მომიტინგეების დასაშლელად დაიძრა. – ასეთია 6 მაისს მომხდარი შემთხვევის ბესელიასეული ვერსია, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ იზიარებს არც შინაგან საქმეთა სამინისტრო და არც პროკურატურა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ 6 მაისს მომხდარი დაპირისპირების დროს დაშავებულთა და დაზარალებულთა აღწერას აწარმოებს, რომლის სრული სიაც უახლოეს ხანში გამოქვეყნდება. დაზარალებულ კახა ბერიშვილის, კახა კამლაძის, თენგიზ მაზმიშვილის, ბიძინა გეგიძის, გაგა გაჩეჩილაძისა და როსტომ ჟორდანიასთან ერთად, აქციის მონაწილე არაერთი ქალბატონია ნაცემი.

საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას საჩივარი გაეგზავნება. მას მტკიცებულების სახით დისკი და დაზარალებულთა სამედიცინო დოკუმენტაცია დაერთვება. **უკომენტაროდ: ეკა ბესელია 6 მაისის შეტაკებაში პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც ითხოვს.**

**ანა წიწილაშვილი**

◉ ინფორმაცია

## გაიხსნა რუსული სასაზღვრო პოსტი

**რუსული მედიის ინფორმაციით, მამისონის უღელტეხილზე რუსული სასაზღვრო პოსტი გაიხსნა. ამის შესახებ ინტერნეტგამოცემა „კავკაზკი უზელი“ იუწყება.**



**მათი ინფორმაციით, მამისონის უღელტეხილზე რუსული სასაზღვრო პოსტი საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ მოსკოვისა და ცხინვალის რეჟიმის შეთანხმების ფარგლებში გაიხსნა, რომელიც რუსეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა შეთანხმება 5-წლიანი ვადით გასული წლის 30 აპრილს გააფორმეს.**

**მათივე მტკიცებით, რუსმა მესაზღვრეებმა მამისონის უღელტეხილზე, ყოფილ მეტეოსადგურზე საგუშაგოს გახსნამდე, 30 აპრილს ტერიტორია დაათვალიერეს და პოსტი 6 მაისს გახსნეს. პოსტზე სასაზღვრო სამმართველოს სპეცდანაყოფის ჯარისკაცები განთავსდნენ, რომლებსაც ყველა პირობა შეუქმნეს ფუნქციების შესასრულებლად.**

## დაუგეგმავი ტრანსფერები არ უნდა განხორციელდეს



**ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი შესაბამის უწყებებს მოუწოდებს არ განახორციელონ დაუგეგმავი ტრანსფერები და ისეთი პროექტები, რომლებიც არჩევნებამდე დაგეგმილი არ იყო. ამის შესახებ ზურაბ ხარატიშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომელიც არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის გამოუყენებლობას ეხებოდა.**

**მისი თქმით, საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა და სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში საბიუჯეტო დანაზოგების გამოყენების შესძლებლობა გაჩნდა.**

**– ეს თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ მისი გამოყენება საარჩევნო კოდექსს ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად, მხოლოდ იმ დანახარჯების განხორციელებაა შესაძლებელი, რომელიც არჩევნებამდე იყო დაგეგმილი, – განაცხადა ხარატიშვილმა.**

**ცესკოში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტის თაობაზე რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ განაცხადი შეიტანა, თუმცა, ხარატიშვილის თქმით, კომისიის მიერ ყველა ფაქტი გადამოწმდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ წინ არჩევნებია

# უფასო რეკლამა პოლიტიკური ბიზნესისთვის

(მესამე გვერდიდან)

აქციის შემდეგ აჩვენეს გიგი უგულავა, რომელსაც დიღომში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში პატრიარქმა საჩუქრები გადასცა. ასევე აჩვენეს ალასანია და ინგა გრიგოლია, რომელთაგან პირველმა განაცხადა, რომ მისი „ალიანსი“ არ იყო აქციის ორგანიზატორი, ხოლო მეორემ კი თქვა, რომ მისი პარტიის წევრები მოუწოდებდნენ თავიანთ მხარდამჭერებს მონაწილეობა არ მიეღოთ ამ საპროტესტო გამოსვლაში.

მართლაც საკმაოდ კონტრასტულად ჩანდა მშვიდი სახით მოსაუბრე უგულავა და მიტინგის „მსურველი“ ძიძიგური. ქვების მსროლელი აქციის მონაწილეები და განახლებულ ძველ თბილისში მოსეირნე ხალხი. დასისხლიანებული აქტივისტები და სცენაზე მოცეკვავე, თუ მომღერალი ბავშვები.

ნებისმიერი ფსიქოლოგი დამეთანხმება, რომ ხელისუფლებამ ადვილად მიიღო ის შედეგი, რის მისაღწევადაც მათ „პიარშჩიკებს“ საკმაოდ ბევრი უნდა ეწვალათ, ანუ ოპოზიციის დისკრედიტაცია საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილის თვალში, რომლებიც საინფორმაციო გამოშვებებს ადევნებს თვალყურს (დამეთანხმებით, რომ ასეთები საკმაოდ ბევრნი არიან).

მათ ეს შედეგი, თავად აქციის მონაწილეებმა „ნა ბლიუდოჩკე, ს გოლუბოი კოიუმოჩკოი“, მიართვეს.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, საინფორმაციო გამოშვებების ნახვის შემდეგ, ამომრჩევლის დიდ ნაწილს დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ არის „განათებული, მოზეიმე, მოცეკვავე და მომღერალი ქვეყანა“ და ამ დროს „მოდის ბნელი და უკუნი“.

(არადა გულზე ხელი რომ დავიდოთ და რეალურად შევაფასოთ დღევანდელი მდგომარეობა, ის „განათებული, მოზეიმე, მოცეკვავე და მომღერალი ქვეყანა“ სადღაც აქვეა, ერთი ხელის გაწვდენაზე, მაგრამ სად, ზუსტად მხოლოდ ერთი-ორმა კაცმა იცის. მეტმა არავინ).

რბილად რომ ვთქვა, ოპოზიციამ ამ შემთხვევაშიც იმ „უფერო ყუთის“ როლი შეასრულა, რომელზეც ზემოთ ვწერდი.

ისე, რა მაგის პასუხია და ხელისუფლების შეცვლის ქართული „სტილი“, რაღაცით უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას დაემსგავსა – „თუ წელს ვერ „მოხვდი“, გაისადაც სცდი ბედს“. არა, „ბედს კი სცდი“, მაგრამ „კუჩხი ბედინერის“ მეკვლესი არ იყოს, სხვისი ფეხის იმედზე არ უნდა იყო. ცოტა უნდა „იმეცადინო“, რაღაც-რაღაცეები უნდა ისწავლო და იგივე შეცდომები არ უნდა დაუშვა, რაც წინა წელს დაუშვი.

კარგით, უმაღლეს სასწავლებლებს დროებით თავი დავანებოთ და ისევ რეკლამას დავუბრუნდეთ.

კარგი რეკლამის „გაკეთება“ ძალიან ძნელია. ძნელია, რადგანაც რეკლამა უნდა იყოს ყველასათვის გასაგები. მცირე დროში უნდა იძლეოდეს მაქსიმალურ ინფორმაციას და უნდა იყოს დასამახსოვრებელი (დარწმუნებული ვარ, რომ ყველას გახსოვთ 25–60–60?).

ასევე ისიც გასათვალისწინებელია, რომ რეკლამა უნდა იცვლებოდეს. უნდა იცვლებოდეს დროის, ვითარებისა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

30 მაისის არჩევნებთან დაკავშირებით, ნამდვილად მოხდა იმ სლოგანების ცვლილება, რაც აქამდე ისმოდა ამა თუ იმ პარტიის სარეკლამო რგოლებიდან.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ თუ სულ ახლახანს ისეთი „რევოლუციური“ სლოგანები იყო „მოდაში“, როგორებიცაა „გავყაროთ მძარცველები მთავრობიდან“, ან „საქართველო „ვინმეს“ გარეშე“ (მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ იქნება ის „ვინმე“, შევარდნაძე, სააკაშვილი, თუ „თავისუფლების ინსტიტუტი“), დღვანდელმა „ისტორიულმა მომენტმა“ „დასაქმება“, „გადასახადების შემცირება“ და „რაღაცეების“ კეთება წამოწია წინ.

ანუ როგორც გამოჩნდა, დღევანდელი მდგომარეობა სოციალური პრობლემების გადაჭრას აყენებს მთავარ პრიორიტეტად (ახლა ვიღაცამ შეიძლება იკითხოს: სოციალური პრობლემების გადაჭრა, ხომ ნათელაშვილის „ნიშაა“ და რატომ არ ღებულობს მონაწილეობას არჩევნებშიო? პირდაპირ ვუპასუხებ: ნათელაშვილს რამდენიმე კაცი რაღაც საკრებულოში კი არა, საქართველოს პარლამენტში ჰყავს, მაგრამ მერე რა? არა, რაც მართალია, იმ დეპუტატებს, რომლებიც ლეიბორისტული პარტიიდან არიან პარლამენტში, ნამდვილად მოგვარებული აქვთ დასაქმებისა, თუ სხვა სოციალური პრობლემები. ისე ლეიბორისტებმა კარგად იციან, რომ საკრებულოში ნამდვილად ვერ მოვიდოდნენ იმ რაოდენობით, როგორც ერთ დროს მოვიდნენ და „ალბათ“ ამიტომაც თქვეს უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. სამაგიეროდ მერე იტყვიან: აი, ჩვენ ხომ ვამბობდითო!).

ცოტა გადავუხვიე, მაგრამ არა უშავს, ისევ მთავარ თემას დავუბრუნდები.

როგორც ვთქვი, დღევანდელ სარეკლამო რგოლებში, მთავარ პრიორიტეტად სოციალური პრობლემების გადაჭრაა წამოწეული, ხოლო ამ პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზად, დასაქმებაა დასახული.

მხოლოდ ზვიად ძიძიგურის და ბუნებრივია ეროვნული საბჭოს სარეკლამო რგოლები ინარჩუნებენ „რევოლუციურ–პოლიტიკურ“ პათოსს.

არაფერს ვიტყვი ამ კლიპზე, იმის გარდა, რომ ის დროს ჩამორჩა და მაგალითად, ქრისტიან-დემოკრატების კლიპისგან განსხვავებით, ბუნდოვანი მომავლის გარდა აბსოლუტურად არაფერს არ ჰპირდება ამომრჩეველს.

რაც შეეხება იმ კლიპებს, რომლებშიც აქცენტი დასაქმებაზეა გაკეთებული.

რა თქმა უნდა, შესანიშნავია, როცა ტოტალური უმუშევრობის პირობებში და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღის წინა პერიოდში, დასაქმებას გვპირდებიან, მაგრამ სამწუხაროდ ყველამ ვიცით, რომ საქართველოში ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, სადაც ბევრი ადამიანი დასაქმდება, ფაქტობრივად აღარ არსებობს (იმ 20-კაციან „ცეხებზე“ არ მაქვს საუბარი, რომელთა ზარ-ზეიმით გახსნა საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა).

ხოლო ის შენობები, რომლებსაც ერთ დროს ფაბრიკები და ქარხნები ერქვათ და რომლებიც ჯერ კიდევ სახელმწიფოს მფლობელობაშია დარჩენილი, ისეა გაძარცული და გაუბედურებული, რომ მათს ამუშავებას უამრავი ინვესტიცია ესაჭიროება (ამ რამდენიმე ხნის წინათ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გააკრიტიკა ეკონომიკის მინისტრი იმის გამო, რომ ქონების მართვის სააგენტო საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას იმ 600-მდე საწარმოს შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან სახელმწიფოს მართვაში და მათი სასწრაფო პრივატიზაციის განხორციელება მოითხოვა).

ამიტომ აქ ისმის ერთი მარტივი, მაგრამ ყველაზე საჭირბოროტო კითხვა:

სად?

ანუ სად გვპირდებით დასაქმებას? რომელ ფაბრიკებსა, თუ ქარხნებში? რომელ ფირმებსა, თუ ორგანიზაციებში, რომელ დაწესებულებებში?

ეჰ, სამწუხაროდ ისევ ბუნდოვანი და გაურკვეველი მომავალი.

აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ თბილისში დაახლოებით 300 000 ოჯახია. ერთი დასაქმებული, ერთი ოჯახიდან ეს 300 000 სამუშაო ადგილს ნიშნავს („ცხონებული“ „მოქალაქეთა კავშირიც“ იგივეს ამბობდა 1995 წელს).

აღარაფერს ვიტყვი და წერილის დასასრულს, ჯერ პოლიტიკურ პარტიებს, ხოლო შემდეგ ამომრჩეველს მივმართავ:

პატივცემულო ლიდერებო: თუ მთელი საქართველოს მასშტაბით გინდათ ამცნოთ ხალხს თუ რას „მოღვაწეობთ“, ბეჭდურ მედიას მიმართეთ. ხომ ხედავთ, რომ სახელისუფლებო არხებთან არ შეიძლება ურთიერთობა. ბოლო-ბოლო ლენინის დროს საერთოდ არ იყო ტელევიზია, მაგრამ რაც უნდოდა, ნამდვილად „შეასრულა“ იმ კაცმა.

**რაც შეეხებათ ამომრჩევლებს: კოლეგებო, ჩვენს მოსაზიდად განკუთვნილ, ტელევიზიებში მოტრიალე„ პოლიტიკური პარტიების სარეკლამო რგოლებზე, („ნაციონალური მოძრაობის“ ორი სარეკლამო რგოლის გარდა), გაკეთებულია წარწერები – „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.**

**უფასო ყველი კი, სამწუხაროდ მხოლოდ სათაგურშია!**

**გია გაბრიჭიძე**

## აქტუალური ინტერვიუ

# იური ფელშტინსკი: რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში ყოველთვის ცუდი იყო...



**ამერიკელი ისტორიკოსის, სსრკ-ის ყოფილი მოქალაქის იური ფელშტინსკისა და რუსეთის ფეესბეს ყოფილი პოდპოლკოვნიკის ალექსანდრ ლიტვინენკოს წიგნი „ფეესბე რუსეთს აფეთქებს“ ოც ენაზე ითარგმნა და ამდენივე ქვეყანაში გამოიცა.** ითარგმნა ქართულადაც, მაგრამ რატომღაც არ გამოცემულა. ფელშტინსკიმ სხვა თანაავტორებთან ერთად გამოსცა წიგნი **„კორპორაცია. რუსეთი და კაგებე პრეზიდენტ პუტინის დროს“** (წიგნი რუსულადაც მომზადდა, მაგრამ არ გამოიცაძ და **„კაგებე ჭადრაკს თამაშობს“** (სპორტის ამ სახეობაში კაგებეს ჩართულობის შესახებ“ძ. ლიტვინენკო 2006 წელს ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღებიდან რამდენიმე თვეში მოკლეს. მანამდე კი იყო 1994 წლის 26 ნოემბერი – გროზნოს შტურმით აღება – ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყება. 1996 წლის 21 აპრილი – ჯოხარ დუდაევის მკვლელობა. მერე ჩეჩნეთის ომის „მეორე სერიის“ დაგეგმვა: ფეესბე ბუინაკსკში, მოსკოვსა და ვოლგოდონსკში საცხოვრებელ სახლებს აფეთქებს (1999 წლის 4-16 სექტემბერიძ. იღუპება 307 ადამიანი. 1700 – მდე ფიზიკურ ზიანს იღებს. აფეთქება 1999 წლის 22 სექტემბერს რიაზანის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლშიც „უსიკვდილოდ“ უნდა მომხდარიყო. უბრალოდ, „ფეესბეს“ ეს ოპერაცია ჩაეშალა. ღამით სრულიად შემთხვევით სახლის ბინადრებმა საეჭვო ადამიანები შენიშნეს. მილიციას გამოუძახეს. ფეესბეშნიკ ტერორისტებს სახლის სარდაფში „რაღაცით“ სავსე ტომრები შეჰქონდათ. ტომრებში შაქრის მაგივრად ასაფეთქებელი ნივთიერება „ეყარა“. მაგრამ დაგეგმილი ომი არ ჩაიშალა. იგი ანტიჩეჩნური პროპაგანდითაც და უპროპაგანდოდაც უნდა შემდგარიყო. ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტო. გაუქმების ან გადადების საკითხი არ განიხილებოდა. მეორე დღეს ანუ 23 სექტემბერს რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ელცინმა ჩეჩნეთში „კონტრტერორისტული ოპერაციის“ დაწყების დირექტივას მოაწერა ხელი. 30 სექტემბერი ჩეჩნეთის მეორე ომის სტარტის ოფიციალური თარიღია. ამ დღეს რუსეთის ჯარმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კვლავ „შეაბიჯა“. გროზნო და მისი შემოგარენი უმოწყალოდ დაიბომბა. 2004 წლის 13 თებერვალს ზელიმხან იანდარბიევი მოკლეს. 2004 წლის 9 მაისს – ახმატ კადიროვი, 2005 წლის 8 მარტს – ასლან მასხადოვი. სულ 250 000 ჩეჩენი გაწყდა – პრეზიდენტების ჩათვლით. რამდენი დაიჭრა, გაიტაცეს ან დააპატიმრეს – არავინ იცის. რამზან კადიროვი ცოცხალია... 2009 წლის 15 აპრილს კრემლში ანტიტერორისტული „კამპანიის“ შეწყვეტას მოაწერეს ხელი. ოფიციალურად ომი დასრულდა, მაგრამ ავტორეჟიმზე გადასულს, მას დასრულება არც კი უფიქრია. უბრალოდ – „თვითმკვლელურ რელსებზე“ გადაბარგდა. ისევ – სახლებში, ავტომობილებსა და მეტროებში.

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რამდენიმე ტრაგიკული მოვლენა მოხდა. 2010-ის 29 მარტს ორმა თვითმკვლელმა ქალმა თავი აიფეთქა. 40 ადამიანი დაიღუპა, 80 დაიჭრა. 2010-ის 31 მარტს დაღესტნის ქალაქ ყიზლარში ჯერ დისტანციური მმართველობის ნაღმიანი მანქანა აფეთქდა, მერე კი ტერორისტმა მამაკაცმა თავი აიფეთქა. დაიღუპა 12, დაიჭრა 29. პირველად ყიზლარი ტერორის დროებითი დედაქალაქი (78 მოკლული, რამდენიმე ასეული დაჭრილიძ 1996 წელს გახდა. 2010-ის 7-8 აპრილს ყირგიზეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაიღუპა 87, დაიჭრა 1600 ადამიანი. 2010 წლის 10 აპრილს კი სმოლენსკთან კატინის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის დღის აღსანიშნავად მიმავალი პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი ტუ-154 დაიმტვრა. დაიღუპა 96 ადამიანი. დაჭრილები – არ არიან. 1940 წელს კატინის ტყეში 22 000 პოლონელი დახვრიტეს. იქვე, სმოლენსკთან, იმავე ტყესთან დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეების რაოდენობა კი უცნობია. ცნობილია, რომ პოლონელებთან ერთად ქართველებიც კეფაში ერთი ტყვიის გასროლით გამოასალმეს სიცოცხლეს.

ისტორიკოსი **იური ფელშტინსკის** ლიტვინენკოს მკვლელობამდეც და შემდგომ პერიოდშიც თავის პუბლიკაციებში არაერთხელ მიუთითებდა ჩეჩნეთში ომის გაჩაღების საქმეში რუსული სპეცსამსახურების ღვაწლზე. ამიტომ სწორედ მას ვთხოვე მოსკოვის მეტროში, შემდგომ ყიზლარში დატრიალებული უბედურების, გასული ერთი თვის სხვა ტრაგედიების „შეჯამება“ და ლიტვინენკოს მკვლელობის დეტალების გახსენება.

* * *

– მოსკოვის მეტროში ჩეჩნეთის კვალზე ბევრი რამ ითქვა, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ უკვე არა ჩეჩნური, არამედ ინგუშური ან დაღესტნური კვალი უნდა იყოს – მითხრა იური ფელშტინსკიმ.

**– რადგან კადიროვი უკვე ყველაფერს აკონტროლებს?**

– არა, კადიროვი სწორედ ტერაქტების შედეგად მოვიდა. უბრალოდ, ჩეჩნური წინააღმდეგობა ჩაიხშო, რადგან რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის არსებული კონფლიქტი ჩეჩნებს შორის დაპირისპირებაში გადავიდა, ნაციონალური კონფლიქტი რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის შიდანაციონალურ კონფლიქტში გადაიზარდა, სამოქალაქო ომად გადაიქცა. როგორი დაპირისპირებაც არ უნდა იყოს კადიროვსა და ანტიკადიროველებს შორის, ის, რაც ხდება, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის გამარჯვება სულაც არაა. რუსეთმა ჩეჩნეთი დაკარგა. კადიროვი, თუმცაღა იგი რუსეთმა დანიშნა, პრომოსკოველად ითვლება და კრემლი თითქოს აკონტროლებს კიდეც მას, მაგრამ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დონე დღეს უფრო დიდია, ვიდრე ეს დუდაევისა და მასხადოვის დროს იყო. თუმცაღა კადიროვის შერაცხადობა, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მასხადოვისა და დუდაევის. ჩეჩნეთში მოსკოვის გამარჯვება არ იგრძნობა. სხვა საქმეა ის, რომ სისხლისმღვრელი ომი, ფაქტობრივად, ჩეჩენი ხალხისთვის გენოციდი იყო. რასაკვირველია, ჩეჩნეთში ნორმალური ცხოვრება წარმოუდგენელია. მინდა ვცდებოდე, მაგრამ იქ ცხოვრება რუსებისთვის კი არა, ჩეჩნებისთვისაც წარმოუდგენელია.

**– ამბობენ, რომ ჩეჩნეთში აღმშენებლობის პროცესიაო...**

– ახლა რუსეთში კვლავ შედარებით კარგი ეკონომიკური მდგომარეობაა გაზისა და ნავთობის ფასების გამო და ამ რესურსით, ანუ რუსული ფულით კრემლი ჩეჩნური პრობლემების გადაწყვეტას ცდილობს. ჩეჩნეთში გიგანტური კაპიტალდაბანდებებია. უფრო სწორად, ეს არა ის კაპიტალდაბანდებებია, რომელიც ქარხნებად და სკოლებად უნდა გადაიქცეს, არამედ ჩეჩნური პოლიტიკური ელიტის მოსასყიდი ფულია. კრემლს ჰგონია, რომ ასე იგი სიტუაციას გააკონტროლებს. იმ წამს, როგორც ეს ფინანსური დონება შეჩერდება, ჩეჩნეთში აფეთქება კვლავ მოხდება. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით ადრე თუ გვიან, ზუსტად რა მიზეზით მოხდება ამ ფულის შეჩერება. ან ფული დამთავრდება ანდა ნაციონალური ელიტების გაუმაძღრობა გაიზრდება, ან ეს ფული სადმე გზაში დაიკარგება, მოიპარავენ. ცხადია, რომ ფულის რესურსის ამოწურვას აფეთქება მოჰყვება.

**– ფეესბე ამჯერადაც ქართულ კვალზე ალაპარაკდა...**

– ვფიქრობ, რომ ქართული კვალის ხსენებაზე საქართველო ასე მძაფრად არ უნდა რეაგირებდეს. როცა ვიღაც უპასუხისმგებლო პოლკოვნიკები ან პუბლიცისტები ამას აცხადებენ, თქვენ არასერიოზულად უნდა აღიქვამდეთ. ხშირად სერიოზული პასუხის გაცემაც არაა საჭირო. რუსეთი გრძნობს, რომ მას პრობლემები უმრავლდება. საქართველოსა და ჩეჩნეთის გარდა ინგუშეთი და დაღესტანი რუსეთის რეალური პრობლემებია და ეს ის პრობლემებია, რომელიც თუ რუსეთს უნდა რომ იარსებოს, აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს. საქართველოს პრობლემა კი ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა. კარგად მახსოვს, რომ ნორმალურ ადამიანებში საქართველო პატივიცემისა და სიყვარულის გარდა არაფერს იმსახურებდა. როგორ შეიძლებოდა ამ ურთიერთობის მტრობად გადაქცევა? რუსული მილიცია ქართველებს ქუჩებში იჭერდა, მათ მხოლოდ ფიზიონომიით „გამოარჩევდა“. ეს ხდებოდა რუსეთის დედაქალაქში! როგორ შეიძლებოდა ამ მდგომარეობამდე საქმის მიყვანა? ეს ძალიან სერიოზული საკითხია. ჩემთვის მაინც ძნელია წარმოვიდგინო რუსი, რომელიც რაღაც მიზეზის გამო ქართველს ვერ იტანს.

**– ჰო, მაგრამ ომს რომ თავი დავანებოთ, სხვადასხვა კვლევა სწორედ ამ ზიზღს ადასტურებს...**

– ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, როდესაც ბრბოთი მანიპულიება ძალიან ადვილია. როცა ტელევიზია, პრესა თავისუფალი არაა, ვხედავთ, როგორი წარმატებით იგეგმება სიძულვილის პიარაქციები. 2008-ში საზოგადოებას მიზანმიმართულად ამზადებდნენ არა რეალური პოლიტიკური ნაბიჯებისთვის, არამედ, საქართველოსთან ომისთვის.

**ია მერკვილაძე,**

**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

(დასასრული იქნება)




## ახალი პროდუქტი

# საბანკო „ყველგანმავალი“

**დასამალი არ არის და არც თავად ბანკები ცდილობენ იმის შენიღბვას, რომ მათთვის არსებობენ სოლიდური და შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი კლიენტები, თუმცა, ცხადია, ყურადღებასა და მაღალი დონის პროფესიულ მომსახურებას თითოეულ მათგანს საკუთარი თავის პატივისმცემელი და რეპუტაციის გამაფრთხილებელი ბანკი ერთნაირად უწევს.**

მიუხედავად ამისა, მსხვილი კორპორატიული კლიენტებისთვის უფრო მეტი ყურადღების მისაქცევად „ვითიბი ბანკმა“ კორპორატიული ფილიალი გახსნა, სადაც იურიდიულ პირებს ნებისმიერი სახეობის საბანკო მომსახურების მიღება შეეძლებათ. ამასთან დაკავშირებით „თიბისი ბანკში“ აცხადებენ, რომ ახალ ფილიალში კლიენტები მაქსიმალური კომფორტითა და მომსახურების უმაღლესი ხარისხით იქნებიან უზრუნველყოფილნი.



აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ახალი კორპორატიული ფილიალის გახსნისთვის „ვითიბი ბანკმა“ ასევე ახალი საბანკო პროდუქტი – „ვითიბი ფრეივაით ბენკინგი“ წარადგინა. **ამ საბანკო პროდუქტის მოხმარება ინდივიდუალური პირობებით ექსკლუზიურ საბანკო მომსახურებას გულისხმობს, რომელიც, პირველ ყოვლისა, მაღალი შემოსავლის მქონე, უმეტესად, ალბათ, კორპორატიულ კლიენტებზეა გათვლილი.** კერძოდ, „ვითიბი ფრეივაით ბენკინგის“ მომხმარებელს პირადი ბანკირი მოემსახურება, რომლის დახმარებით ნებისმიერი საბანკო ოპერაცია – კრედიტის მიღება, დეპოზიტის განთავსება, საოპერაციო მომსახურება და სხვ. – უმოკლეს დროში იქნება შესაძლებელი.

ასევე უნდა ითქვას, რომ „ვითიბი ფრეივაით ბენკინგის“ მომსახურების პროექტის ფარგლებში **მომხმარებლებს „პრემიუმ“ შემნახველ ბარათს შესთავაზებენ,** რომელთაც ავტომატური საკრედიტო ლიმიტით სარგებლობა შეეძლება. „პრემიუმი“ მოსახმარად მეტად მოხერხებული შემნახველი ბარათია, რომლის გამოყენების პირობებით, **მასზე არ მოითხოვენ მინიმალური ნაშთის დატოვებას, ხოლო არსებულ ნაშთს სხვადასხვა ვალუტა შემდეგი ოდენობით დაერიცხება: ლარებით – 8 პროცენტი, ამერიკული დოლარებით – 7 პროცენტი, ევროებით და ბრიტანული გირვანქა სტერლინგებით – 6-6 პროცენტი.** საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „პრემიუმის“ ბარათზე რიცხული თანხის განაღდება, პროცენტული დარიცხვის გარეშე, ანუ უფასოდ, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაში ნებისმიერ ბანკომატშია შესაძლებელი. ამდენად, „პრემიუმი“ ქართულ საბანკო პლასტიკურ ბარათებს შორის ერთგვარ „ყველგანმავალს“ წარმოადგენს.

„ვითიბი ფრეივაით ბენკინგის“ მომსახურებას აგრეთვე ის პლუსიც აქვს, რომ **მის ფარგლებში განთავსებულ დეპოზიტს სტანდარტულ ტარიფს დამატებით კიდევ ერთი პროცენტი ერიცხება.** „ვითიბი ფრეივაით ბენკინგის“ მომხმარებლებს „ვითიბი ბანკის“ პერსონალი კორპორატიული ფილიალი პერსონალური მომსახურების ზონაში მოემსახურება.

ახალი კორპორატიული ფილიალის გახსნასთან და ამ ღონისძიებასთან მისადაგებულად კლიენტებისთვის ახალი საბანკო პროდუქტის შეთავაზების თაობაზე თავად „ვითიბი ბანკში“ აცხადებენ, რომ ამით მომხმარებელს ინდივიდუალური მიდგომის პრინციპზე დაფუძნებულ მომსახურებას სთავაზობენ, რაც, პირველ ყოვლისა, მათი ინტერესების დაცვასა და მაქსიმალური კომფორტის შექმნას გულისხმობს, რაც სათანადო წინადადების შეთავაზებასა და მომსახურების ხარისხითა და სისწრაფით გამოიხატება.

საბანკო სფეროში ახლახან ამოქმედებულ სიახლეებზე ლაპარაკისას არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს „აიბენის“ ფორმატით საბანკო ანგარიშების გამოყენების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის, საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი. ეროვნულ საბანკო სექტორში **„აიბენის“ ფორმატით ანგარიშების წარმოების მიზანია საბანკო გადარიცხვებზე დაბალი გადასახადის დაწესება და, გარდა ამისა, ამ ფორმატის მეშვეობით საოპერაციო რისკების მინიმუმამდე დაყვანა,** ასევე მომსახურების ხარისხის **ამაღლება.** აღნიშნულ ფორმატში ჩართვით ანგარიშსწორებაში მონაწილე საბანკო ანგარიშების სტანდარტიზაციაც განხორციელდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ინფორმაცია თემაში

***„აიბენი“ – ესაა საერთაშორისო საბანკო ანგარიშების ნორმების სტანდარტი, რომელიც სტრუქტურულად ქვეყნის აღმნიშვნელ საერთაშორისო საბანკო ანგარიშების ნორმების სტანდარტს მოიცავს. მასში მითითებულია ანგარიშის ნომერი, ქვეყნის აღმნიშვნელი კოდი, საკონტროლო გასაღები, ბანკის კოდი და საბანკო ანგარიშის ნომერი.***

***ცალკეა აღსანიშნავი, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი, ხოლო მსოფლიოში 56-ე ქვეყანაა, რომელიც „აიბენის“ ფორმატით სტანდარტებს მიუერთდა.***

## კონკურსი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის შემდეგი სახელობითი პრემიების მისანიჭებლად:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია – საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში;
2. გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემია – ზოგადი და ინდოევროპული ენათმეცნიერების დარგში;
3. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია – გეოგრაფიის დარგში;
4. ილია ვეკუას სახელობის პრემია – მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში;
5. ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია – ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში;
6. ნიკოლოზ კეცხოველის სახელობის პრემია – ბოტანიკის დარგში;
7. გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემია – ძველი ისტორიის დარგში;
8. გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემია – მედიცინის (ქირურგია) დარგში;
9. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის პრემია – ხელოვნებათმცოდნეობის დარგში;
10. იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემია – ფარმაკოქიმიის დარგში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს, თვალსაჩინო მოღვაწეებს თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო ნაშრომისათვის ანიჭებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელობის პრემიებს.

პრემიების მინიჭება ხდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მეცნიერების დღესთან (10 ნოემბერი) დაკავშირებით.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები.

კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია და აკადემიის საექსპერტო კომისია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იქნეს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებში, ან ცალკეულ პირთა მიერ.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ გამოცემული არაუგვიანეს 6 თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა პრემია, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა მიერ.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა (წარწერით ––––––––––––––– (პრემიის დასახელება)

სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“):

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების და ქვეყნის განვითარებისათვის;

ბ) გამოქვეყნებული ნაშრომი სამ ცალად;

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად შრომათა, აღმოჩენათა, გამოგონებათა სია, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1 თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე; თბილისი, რუსთაველის გამზ., № 52, ოთახი 311.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 99-00-52.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

ჟურნალისტური გამოძიება

# არც მეწყერისთვის გზის არიდება სურთ, არც საბიუჯეტო მილიონების დაზოგვა

**სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა, ფაქტობრივად, დაკანონდა მას შემდეგ, რაც 2006 წლის ხელისუფლებამ ბათილად სცნო საქართველოს კანონი „საპროექტო-სამშენებლო სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის შესახებ“**

2006 წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (თავმჯდომარე – რომან დალაქიშვილი) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ჩაატარა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო ავტომაგისტრალის სვენეთი-რუისის მონაკვეთის (კმ 89- კმ 95) მოდერნიზაციის საპროექტო ტენდერი, რომლის გამარჯვებულადაც გამოცხადდა გერმანული ორგანიზაცია **„კოკს კოსტალინგი“** – მან პროექტის შედგენაში ყველაზე დაბალი ფასი, 29 მილიონი ლარი მოითხოვა.

„კოკს კოსტალინგმა“ 2006 წელს დაასრულა პროექტის შედგენა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 230 მილიონი ლარი. საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტირების სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ კი გაირკვა, რომ ამ სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო საბაზრო ფასი მერყეობს 148,8 მილიონიდან 186 მილიონ ლარამდე, რაც თითქმის 83,44 მილიონი ლარით ნაკლებია „კოკს კოსტალინგის“ მიერ შედგენილი პროექტით გათვალისწინებულ ღირებულებაზე.

იმავე წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით ორგანიზაციამ – „მშენებლობა, დიზაინი, ექსპერტიზა“ აღნიშნულ პროექტს ექსპერტიზა ჩაუტარა, რის შედეგად დადგინდა, რომ ავტომაგისტრალის მეწყერულ ზონაზე შემოვლითი გზის მშენებლობა 40-50 მილიონი ლარის ეკონომიას იძლეოდა. ასევე ექსპერტიზამ დაადგინა, რომ „კოკს კოსტალინგის“ მიერ დაპროექტებული ორი გვირაბი ქვეყანაში არსებული ნორმატიული მოთხოვნების დარღვევით იყო წარმოდგენილი (სიგანე 8 და სიმაღლე 5 მეტრის ნაცვლად განსაზღვრული იყო 7,5 და 4 მეტრი, რაც დაუშვებელია მოძრაობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე).

არც დამკვეთმა და არც პროექტის ავტორმა არ გაიზიარეს ექსპერტიზის დასკვნა. ასევე არ ჩატარდა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომელსაც შეეძლო გაებათილებინა ექსპერტიზის დასკვნა, რის გამოც გაცემული მშენებლობის ნებართვა უკანონოა.

2008 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოაცხადა ტენდერი თბილისი-სენაკი-ლესელისის საერთაშორისო ავტომაგისტრალის სვენეთი-რიკოთის გვირაბის მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე. აღნიშნულ ტენდერში ქართულმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ მსოფლიო ბანკის და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხელოვნურად შედგენილ მოთხოვნებს, რითაც მოხდა როგორც ბანკის დებულების, ასევე საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის არსებული ხელშეკრულების იგნორირება. ტენდერში გაიმარჯვა იმავე „კოკს კოსტალინგმა“, რომელსაც დეპარტამენტმა გადაუხადა მილიონი ლარი.

ამჟამად უცნობია, შეასრულა თუ არა „კოკს კოსტალინგმა“ ნაკისრი ვალდებულება. აგრეთვე დაუდგენელია, თუ რისთვის ჩაატარა დამკვეთმა ეს ტენდერი, რადგან 2009 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩატარდა რამდენიმეეტაპიანი სამშენებლო ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვეს:

1. აზერბაიჯანის სამშენებლო ორგანიზაცია „აკორდმა“, რომელსაც დაევალა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის სვენეთი-რუისის 13-კილომეტრიანი მონაკვეთის მოდერნიზაცია (ბეტონის საფარიანი გზის მშენებლობა).

2. იტალიის სამშენებლო ორგანიზაცია – „ტოდინმა“, რომელსაც დაევალა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის სვენეთი-რუისის მონაკვეთზე ხუთი ხიდის, ესტაკადისა და გვირაბის მშენებლობა, რაშიც 122 მილიონი ლარი მოითხოვა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ „ტოდინმა“ გზების დეპარტამენტს უარი განუცხადა მშენებლობის „კოკს კოსტალინგის“ პროექტით წარმოებაზე და შეწყვიტა ურთიერთობა დამკვეთთან. „ტოდინის“ ვალდებულების შესრულება იკისრა „აკორდმა“, რომელმაც სამუშაოების შესრულებაში 250 მილიონი ლარი მოითხოვა, რაზეც დამკვეთი დათანხმდა. ეს თანხა კი გაცილებით მეტია ქვეყანაში არსებულ საბაზრო ფასზე, რის შედეგად ბიუჯეტი რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს ზარალობს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე და 263-ე მუხლების გათვალისწინებით, ქვეყნის მთავარი პროკურატურა, შემოსავლების სამსახური და კონტროლის პალატა ვალდებული არიან, შეისწავლონ აღნიშნული ფაქტები და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

ყურადღება, კონკურსი!

# აკადემიაც ქვეყნის სახეა

**„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. წლიური ანგარიში 2009“ – ასეა დასათაურებული მიმზიდველად გამომზირალი, მდიდრულშინაარსიანი, 330-გვერდიანი წიგნი, რომელიც წლევანდელი წლითაა დათარიღებული და აკადემიის კედლებში ახლახან გამოჩნდა.**

მასში ასახულია სმეა-სა და მისი წევრების (აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების) სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა შარშანდელი წლის მანძილზე. „მდიდრულშინაარსიანიო“ ლამაზი სიტყვისთვის არ გვითქვამს: წიგნში შეხვდებით პარაგრაფებს, მიძღვნილს სმეა-ს საერთო კრებისადმი, აკადემიური საბჭოსადმი, აკადემიის პრეზიდენტისადმი, საიუბილეო ღონისძიებებისა და შეხვედრებისადმი, აკადემიის ათივე სამეცნიერო განყოფილებისადმი, სამეცნიერო რედაქციებისადმი და კომისიებისადმი, საორგანიზაციო საქმიანობისადმი.

საქართველოს აქვს მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი, ჰყავს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერული სკოლები, აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი და კვლევითი დაწესებულებების განვითარებული სისტემა. ეს იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ ჩვენში გაწეულმა კვლევაძიებამ მოიცვას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ძირითადი თანამედროვე მიმართულებები.

ქართული მეცნიერება ყოველთვის იყო და არის მსოფლიო მეცნიერების არა მარტო განუყოფელი, არამედ მნიშვნელოვანი ნაწილიც, არის აქტიური მონაწილე ისეთი გლობალური პრობლემების დამუშავებისა, როგორც გარემოს დაცვა-შენარჩუნებაა, ენერგიის ახალი წყაროების კვლევა, ადამიანის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის გაჯანსაღება-გაუმჯობესების გზების ძიება და არაერთი სხვა.

ეს ყველაფერი კარგად ჩანს 2009 წლის ანგარიშის გაცნობისას, ჩანს, თუ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიაც როგორი მკაფიო სახეა ქვეყნისა. ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ანგარიშში წარმოდგენილი აკადემიის წევრების მიერ შესრულებული სამუშაოების ანოტაციების, აკადემიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველი მასალების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში ჩვენი სწავლულების მიერ შეტანილი წვლილის შარშანდელი წლის მონაცემთა ცხრილის გადახედვა. რამდენიმე საგულისყურო ციფრი: აკადემიის წევრებმა 2009 წელს გამოაქვეყნეს ან გამოსაცემად გაამზადეს 88 მონოგრაფია (მათ შორის უცხოეთში – 12), 406 სტატია (საზღვარგარეთ – 159); მოიპოვეს 58 გრანტი (უცხოეთისა – 30); მონაწილეობა მიიღეს 165 კონფერენციაში (საზღვარგარეთ 93-ში).

ასევე შთამბეჭდავია აკადემიის პრეზიდენტის შარშანდელი საქმიანობის ამსახველი პუნქტი. 2009 წელს აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ სმეა წარმოადგინა შვიდ ფრიად საყურადღებო საერთაშორისო შეკრებაზე: აკადემიათშორისი სამუშაო შეხვედრები (თებერვალი, ტრიესტი, იტალია), ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სხდომა (მაისი, ვენა), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიური საერთო კრება (მაისი, მოსკოვი) და სხვა.

შარშან გამოქვეყნდა თ. გამყრელიძის სტატია „პარადიგმები“ ენათმეცნიერებაში და იზომორფიზმის პრობლემა გენეტურ კოდსა და სემიოტიკურ სისტემებს შორის“ (ჩვენი აკადემიის „მოამბეში“); აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის (ლექსიკის როგორც განძის) კომიტეტმა, რომელსაც თ. გამყრელიძე ხელმძღვანელობს, მოამზადა ქართული ენის თესაურუსის სამეცნიერო პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა; შარშანვე ბატონი თამაზი აირჩიეს მეცნიერებათა ფილოსოფიის საერთაშორისო აკადემიის“ საპატიო წევრად (ფლორენცია, იტალია).




ამ ნაწილობრივი ჩამონათვალიდანაც ვხედავთ, თუ რაოდენ ნაყოფიერი იყო 2009 საიუბილეო წელი ჩვენი სასიქადულო სწავლულისათვის (აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს 80 წელი შეუსრულდა).

...ეს მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომი „წლიური ანგარიში 2009“ აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურმა მოამზადა. აქვე შევნიშნავთ, რომ წიგნში აღნუსხული არაერთი საააკადემიკო ღონისძიება და მიღწევა ოპერატიულად და დაწვრილებით გაშუქდა „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე.

**თამაზ ეზანოიძე**

◉ თქვენ ეს იცოდით?

# სტრესი ციფრებსა და ფაქტებში



**ცნება სტრესი პირველად შემოიღო კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელიემ 1954 წელს.**

იაპონიაში არის სპეციალური კაფე, სადაც ყიდიან თეფშებს საპარსისთვის. ასე ხსნიან იაპონელები სტრესს.

სტრესული ჰორმონები სიგნალს აძლევენ ცხიმოვან უჯრედებს — მოიმარაგონ ცხიმი.

ადამიანების 80 პროცენტს დაავადება უჩნდება იმის შედეგად, რომ ორგანიზმს არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს სტრესს.

ყველაზე გავრცელებული საშუალება — მოუხსნას დაძაბულობა — მამაკაცებისთვის (34 პროცენტიძ არის დალევა, ქალებისთვის (24 პროცენტიძ — ძსოვა. ქალებისა და კაცების თანაბარი ოდენობა (12 პროცენტიძ თავს აღწევს სტრესს ბავშვებთან თამაშის დახმარებით. სექსით კი სტრესი ეხსნება ხალხის მეტად დაბალ პროცენტს: 13 პროცენტი მამაკაცებისა და 6 პროცენტი ქალებისა.

ზომიერი სტრესი აკაჟებს ორგანიზმს და ზრდის იმუნიტეტს.

სტრესის მთავარი მიზეზია ფასების ზრდა და საქონლის სიძვირე — 35 პროცენტი, უმუშევრობა — 24 პროცენტი.

ასეთივე ოდენობით არიან ჩვენი თანამემამულეები შეშფოთებული დანაშაულობათა გამო. 18 პროცენტი საყოფაცხოვრებო პრობლემებით და 16 პროცენტი ჯანმრთელობით.

ჩვენი ქალები მამაკაცებზე ორჯერ უფრო ხშირად აწყდებიან სტრესს.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ასოციაციის დასკვნის თანახმად, სტრესი იქნება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხალხის სიკვდილისა უახლოესი 20 წლის განმავლობაში.

ადამიანების უმრავლესობა სტრესს განიცდის საკუთარი დაბადების წინა დღეს. ფსიქოლოგები მედიკოსებს ურჩევენ ამ პერიოდისთვის არ დანიშნონ სერიოზული ოპერაციები: გართულების ალბათობა სტრესის გამო იზრდება თითქმის 20 პროცენტით.

## ყველა კუთხიდან

### ძვირფასი ბავშვები

**ტყუპებისა და სამი ტყუპი ბავშვის მშობლები იყრებიან უფრო ხშირად, ვიდრე, ვისაც ერთი ბავშვი უჩნდება, დაიანგარიშეს ბრიტანელმა სოციოლოგებმა. ამის მთავარი მიზეზია ფინანსური სიძნელეები. დედებს არ აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ, არადა, ორმაგად უნდა გადაიხადო სწავლისთვის, ტანსაცმლისთვის, გართობისთვის, სათამაშოებისა და ველოსიპედების ყიდვისთვის. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს ასეთ ოჯახებს. ასეთი ოჯახების მშობლებმა კი მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ერთმანეთს.**

### ოჯახის მოყვარულებს სიმსუქნე ემუქრებათ

**ოჯახური ბედნიერება იმუქრება სიმსუქნით, განაცხადეს ბერძენმა ფიზიოლოგებმა ათენის სამედიცინო კონფერენციაზე. მათს გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 17 ათასზე მეტმა ცოლ-ქმარმა, რომელთა ასაკიც 20-დან 70 წლამდე იყო. გამოირკვა რომ, რაც უფრო ბედნიერები არიან და უზრუნველები საოჯახო ცხოვრებასთან დაკავშირებით, მით უფრო ცოტა ხალხი ეწევა სექსს და ფიტნესს, იშვიათად სეირნობენ. სამაგიეროდ, მეტ დროს ატარებენ მაგიდასთან და ტელევიზორთან. მთლიანად ოჯახის მამაკაცებს სიმსუქნის სამჯერ მეტი რისკი აქვთ, ქალებს კი ორჯერ მეტი, ვიდრე მარტოხელებს.**

### საიდან მოდიან ძაღლები

**თანამედროვე ოჯახის ძაღლები მოდიან იმ მგლებისგან, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობენ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც გააანალიზეს გენეტიკური ტესტების მონაცემები. მათ შეამოწმეს თითქმის ათასი ძაღლი — 85 ჯიშის წარმომადგენლები და 200-ზე მეტი რუხი მგელი, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, აღმოსავლეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.**

**„ეს იგივე რეგიონია, სადაც გაჩნდნენ შინაური კატები და ჩვენი საოჯახო პირუტყვის უდიდესი ნაწილი და სადაც პირველად განვითარდა სოფლის მეურნეობა“, — აღნიშნა ერთ-ერთმა მკვლევარმა, პროფესორმა რობერტ უეინმა.**

**ექსპერტებმა აგრეთვე დაადგინეს, რომ ძაღლების დღევანდელი ჯიშების 80 პროცენტი გაჩნდა უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში. მაგრამ არის ისეთი ჯიშებიც, რომელთა ასაკიც ათას წელს აჭარბებს.**

### გაზაფხული ასთმიანი ავადმყოფებისთვის მძიმე დროა

**გაზაფხულსა და ზაფხულში ასთმით დაავადებულებს უფრო მძიმე პერიოდი აქვთ იმის გამო, რომ ჰაერში ამ დროს არის მცენარეთა მტვერის ნაწილაკების დიდი ოდენობა.**

**ბრონქული ასთმა — ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. მსოფლიოში 150 მილიონზე მეტი კაცია, ვისაც ეს დაავადება აწუხებს.**

**უკანასკნელ წლებში ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება ბრონქული ასთმის მკურნალობისადმი. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მეცნიერებმა განსაზღვრეს ალერგიული ანთების გადამწყვეტი როლი სასუნთქ გზებსა და ბრონქების ჰიპერაქტივობაში (გაზრდილი მგრძნობელობა).**

**ბრონქული ასთმის დროს მჭიდრო კონტაქტები უნდა გვქონდეს მკურნალ ექიმთან, ვისგანაც ავადმყოფი ღებულობს ინფორმაციას დაავადების მკურნალობის ახალი მეთოდების შესახებ. ბრონქული ასთმის მკურნალობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია საფეხუროვანი მიდგომა. სიმპტომების ზრდის დროს ავადმყოფი გადადის უფრო მაღალ საფეხურზე და იცვლება მკურნალობაც.**

**ბრონქული ასთმის პროფილაქტიკისთვის სპეციალისტები გვირჩევენ ფიზიოთერაპიას ოჯახური ხელსაწყოებით, ფიზიკურ ვარჯიშებს, ცურვას. ეფექტიანია სუნთქვითი ვარჯიშები და, რასაკვირველია, უნდა ვერიდოთ სასუნთქი გზების ანთებას და დროულად დავიწყოთ მკურნალობა.**

## დიაბეტი დაამარცხეს?

***მრავალი წელია დიაბეტი მაწუხებს. წლითიწლობით სულ უფრო რთული ხდება, შეინარჩუნო სისხლი ნორმალურ დონეზე. უკანასკნელ პერიოდში მაწუხებს ღვიძლი და ექიმი მეუბნება, რომ მას თერაპია სჭირდება. მეც ვცხოვრობ ასეთ პრეპარატებზე! ხელები მაქვს ჩამოყრილი. ამას წინათ გამიჩნდა იმედი, მეგობარმა მითხრა საშუალების შესახებ, რომელიც სწრაფად აღადგენს შაქრის დონეს. თუ იცით რამე ამ საშუალების შესახებ და არის თუ არა იგი შესაბამისი ისეთ დაავადებებთან, როგორიც არის ჰიპერტონია (მე მაქვს ჰიპერტონია დიაბეტის ფონზე)?***

***ანა, ხაშური.***

ანა, ეტყობა თქვენ საუბრობთ წამალზე გლიკოერგი. ეს მეცნიერების ამ ცოტა ხნის წინათ გაკეთებული ბრწყინვალე აღმოჩენაა, რომელიც ეძლევნება დიაბეტით ყველა დაავადებულს. ხუთი დღის განმავლობაში გლიკოერგს შაქარი სისხლში მოჰყავს ნორმაზე. გლიკოერგმა გაიარა კლინიკური შემოწმება და აჩვენა თავისი მაღალი ეფექტიანობა დიაბეტის ფორმების უმეტესობასთან დაკავშირებით.

გლიკოერგის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი ფრთხილი დამოკიდებულება თირკმელებისა და ღვიძლისადმი. ცნობილია ფაქტი, რომ დიაბეტის წამლები დამანგრეველ გავლენას ახდენენ სიცოცხლისათვის ამ მნიშვნელოვან ორგანოებზე. გლიკოერგი იცავს მათ მუშაობას და ხელს უწყობს მათს აღდგენას.

ბევრ ადამიანში დიაბეტი მიმდინარეობს ზედმეტი წონისა და ჰიპერტონიის თანხლებით. ასეთი ავადმყოფებისთვის გლიკოერგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის აწესრიგებს ორგანიზმში ლიპიდურ (ცხიმოვანძ ცვალებადობას, აგრეთვე ამტკიცებს სისხლისძარღვთა სისტემას, რასაც მივყავართ წნევის დონის ნორმალიზაციასთან.

**დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ: მოსკოვი, ტელ:(495) 021-30-68: (499) 246-77-01.**

◉ თითქმის ნატურიდან

**ეს საუბარი ამ ორი კვირის წინათ კახეთის ერთ ძირძველ სოფელში მოვისმინე.**

— მიტუავ, წუხელ ტელევიზორს უყურებდი? — ეკითხება შაქრია კარის მეზობელს.

— სხვა საქმე მქონდა რო? მეტი რა გზა მაქ, დღისით წვიმას ვუყურებ, ღამე კიდევ ტელევიზორსა. თუ წამთვლიმა, ცოლი აქ არა მყავს? მაშინვე წამიძიმუნჯებს — ადე ქა, ჩაიხედე, პადვალში წყალი არ შავარდესო.

— რომ შავარდეს, რას იზამ?

— არაფერს, გამგებელს დაველოდები, მოვა და ამოხაპავს.

— ჰაი დედასა, — ამოიოხრა შაქრიამ, —სადამდე მივედით, კაცო?!

— სადამდე? — გაიღრიჭა მიტუა.

— მთავრობა ჭიპამდე წყალში დგა, ჩვენ კიდე ერთმანეთს ველლაზუცებით.

— მა როგორ, მთავრობა იმიტო გვყავს, რომ წყლიდან მშრალად

— ხელი ჩამოართვა ენა ხო არა. როგორც ყური მოვკარი, ობამას მიშასთან ენა საერთოდ არ დაუსველებია.

— ეტყობა, ამერიკის პრეზიდენტს ენის სიმშრალე სჭირს, — დაასკვნა შაქრიამ.

— ჩვენსას კიდე, ზედმეტი სისველე, ხო ხედავ, იქაც არ აჩერებს ენას, ერთთავად რუსეთის რქენაში იყო.

— კარგადაც შვრებოდა, — მიემხრო შაქრია სააკაშვილს, — გული როგორმე ხომ უნდა მოიფხანოს!

— რით ველარ მოიფხანა, ჯო, — ხმას აუწია მიტუამ, — ერთხელ ხო დაამარცხა, ეს აკმაროს და გაჩუმდეს. წაქცეულს აღარა სცემენო, ხო გაგიგია.

— ეგ აქ დაამარცხა, ამერიკიდან ხომ არა.

— ამერიკიდან კიდე ამერიკელებმა დაამარცხონ, თუ შნო აქვთ, ჩვენ რა შუაში ვართ?

## ჩართე ტელევიზორი!

გამოგვიყვანოს. აგე, ვერ უყურებ, მთაწმინდელი ბიჭი, გიგი უგულავა, რეებსა შვრება?

— შნო რო არა აქვთ, სწორედ მაგიტომ იყენებენ მიშას გამბედაობას რუსეთის ხელმეორედ დასამარცხებლად.

— საწყალი მიშა, — შეიბრალა მიტუამ, — თბილისში ვირის ხიდის გასახსნელად ვერ მოუცლია, ამერიკაში კი ქალაქიდან ქალაქში სუ ენაგადმოგდებულს დაარბენინებდნენ.

— ვირის ხიდი? — შეიცხადა შაქრიამ, — ეგ რომელია?



— რეებსა? — დაინტერესდა შაქრია.

— ჩართე ტელევიზორი და ნახავ. თვალებ არ ვუჯერებდი, პურის საცხობად თონეში ფეხის ფრჩხილებით ჩაკიდებული რო ვნახე. იქიდან გამოსული მერე ყასბებს ხორცის გაყიდვაში ეხმარებოდა, მშენებლებს — დუღაბის ჩასხმაში, ზაპრავშიკებს — ავტომანქანების გამართვაში. ყველა სად ჩამოვთვალო, თანაც ფულს არავის ართმევდა.

— მაიცა, მაიცა, — გული აუჩქროლდა შაქრიას, — ბენზინსაც უფასოდ ასხამდა, კაცო?

— აბა რას გეუბნები, პურს, ხორცს, ბენზინს სუ მუქთად აძლევდა ქალაქელებს, ოღონდ ჩემ მეროზაზე უარი არა თქვათ და ყველაფერი თქვენი ფეშქაში იყოსო.

— მერე, ვის ხარჯზე აძლევდა?

— ვიცი რო? ისე კი ეუბნებოდა, არაფერზე იჯავროთ, ატვეჩაი მიშა არისო.

— რომელი მიშა, ჯო, ჩვენი პრეზიდენტი?

— აბა სხვა მიშა ვინა გვყავ. ეტყობა, უგულავამ ამერიკაში იმიტომ გაიტყუა, არჩევნების ფული მთლიანად პრეზიდენტს შეაწეროს.

— არც მასეა საქმე, შე რო ლაპარაკობ. — იუკადრისა შაქრიამ, — მიშა იმის ჩიტი არ არის, უგულავამ გააცუროს. ვერა ნახე, ობამამ რა ამბით ჩამოართვა ხელი?

— აი ახლა რო აშენებენ მტკვარზე, ისა. ადრე მანდ თურმე საცალფეხო ხიდი ყოფილა გადებული, რომელზეც სახედრებით ტვირთი გადაჰქონდათ. ახლაც ვირის ხიდი ერქმევა, ოღონდ სახედროები ტვირთის ნაცვლად უცხოელ ტურისტებს გადაიყვანენ. სხვამ თუ არა, ჩვენ, კახელებმა მაინც ვიცით, როგორი ჭრუანტელის მომგვრელია ვირზე ამხედრება!

— აბა ჩემ ბანჯოს სამუშაო გასჩენია და ეგ არი, — გაიხარა შაქრიამ.

— ჰო, შენი ვირი ჭკვიანი და გამრჯეა, — შეაქო მიტუამ, — მაგრამ ნაცებთან საქმის ჩაწყობა მაინც დაგჭირდება.

— რა ჩაწყობა, რი ჩაწყობა, ჯო, ბანჯო პირადად, ხელის ჩამორთმევით იცნობს მიშას.

— როდის დაუძმაკაცდა?

— ვარდების რევოლუციის პერიოდში. მაშინ ბანჯო პოლიტიკოსობდა, აქციებზე სისტემატურად დადიოდა და თავისუფლების მოედანზე ნაცმოძრაობის სასარგებლოდ ყროყინებდა. დარწმუნებული ვარ, ხიდის გახსნაზე მიშა პერსონალურად გამოუგზავნის ბანჯოს მოსაწვევს.

— კარგია, კარგი, — მოიწონა მიტუამ, — ჩვენი სოფლიდან ერთი სახედარი მაინც გვეყოლება დასაქმებული!

**ოტია ჩართოლანი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „თამარის“ კვალდაკვალ

**ქართველები დიდ სამამულო ომში იბრძოდნენ ფრონტის ორივე მხარეს. ოფიციალურმა თბილისმა დაიწყო თავისი ესესელების გმირებად გამოცხადება. თუმცა, ნიურნბერგის პროცესზე ესესელები გამოცხადებული იყო დამნაშავე ორგანიზაციად**

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ქართველებმა დიდებით შემოსეს თავიანთი სახელი დიდ სამამულო ომში. 93 ეთნიკურ ქართველს თავიანთი გმირობისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მთლიანად კი საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებთაგან და ფრონტზე მობილიზებულ ხალხთაგან 137 მიენიჭა ეს წოდება. მათ შორის არიან რუსები, სომხები, ბერძნები, აფხაზები, ოსები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. საქართველოს ისტორიაში სამუდამო სახელი დაიმკვიდრეს: 87 გენერალმა, ადმირალმა, კომისარმა სამამულო ომის წლებში. 51 იყო სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი, რომლებიც თავიანთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევდნენ. საბჭოთა კავშირის გმირია გიორგი მაისურაძეც, რომელმაც გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის გმირობა და ამ დროს სასწაულებრივად ცოცხალი გადარჩა. ქართველთა შორის არის ერთი გენერალისიმუსი და ორი მარშალი.

სხვათა შორის, პირველი ქართველი გმირი გახდა თბილისელი სომეხი კარაპეტ სიმონიანი, საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს. გამოჩენილი გმირობისთვის მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ მიიღო 214 კაცმა. მათ შორისაა თბილისში დაბადებული სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი სარდალი, ადმირალი ივან იუმაშევი. სამამულო ომში რესპუბლიკამ გაგზავნა 718 ათასი კაცი, მათგან 300 ათასი კაცი შინ აღარ დაბრუნებულა. 240 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო ორდენები და მედლები.

ხელისუფლებაში სააკაშვილის რეჟიმის მოსვლის შემდეგ მათ თავზე შავი აჩრდილი აღიმართა. საქართველოს პრეზიდენტი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „ქართველები მონაწილეობდნენ არა დიდ სამამულო ომში, არამედ კაცობრიობის მეორე მსოფლიო ომში ნაციზმის წინააღმდეგ“.



ახალი ინტერპრეტაციით, რომლის საფუძველზეც სააკაშვილი ცდილობს ჩამოაყალიბოს ისტორიის ახალი აღქმა, ქართველები, რასაკვირველია, ყოჩაღები არიან – ისინი ებრძოდნენ ნაციზმს ამერიკელების, ახალზელანდიელების, ავსტრალიელებისა და კანადელების მხარდამხარ. მაგრამ კაცობრიობის გამარჯვებაში მათი წვლილის სიმბოლოდ დღევანდელი პრეზიდენტი მიიჩნევს ფორე მოსულიშვილს, რომელიც გმირულად დაიღუპა იტალიაში, სადაც იბრძოდა პარტიზანული რაზმის შემადგენლობაში მაშინ, როდესაც ასობით ქართველი – საბჭოთა კავშირის გმირი – თანდათანობით გადაჰყავთ უკანა პლანზე. როგორც ასეთი პოლიტიკის შედეგი – თბილისში „საბჭოთა ოკუპაციის“ და მუზეუმის გახსნაა, შემდეგ კი დაღუპულთა მემორიალის ბარბაროსული განადგურება ქუთაისში. ახლა დღის წესრიგში დგას – ნაცისტი დამნაშავეების გმირებად გამოცხადება იმ ეთნიკური ქართველების სახით, რომლებიც ნებაყოფლობით იბრძოდნენ თავდაპირველად გერმანიის ვერმახტში, დიდი სამამულო ომის დასასრულისთვის კი – უოფენ–ესესის შემადგენლობაში.

ადრე საბჭოთა პროპაგანდა დელიკატურად უვლიდა გვერდს ამ თემას და დოკუმენტებს ქართველი ჰიტლერელების ფენომენის შესახებ საიდუმლოდ ინახავდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის არქივებში, შემდეგ კი საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში. საიდუმლოების სარქველი პანდორას ყუთს მოხსნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო უძველესი დროიდან თბილისში შემორჩენილი არქივები.

თავის ოფიციალურ საიტზე უწყებამ განალაგა სპეციალური დანიშნულების სადაზვერვო-დივერსიული ქვედანაყოფების ქართველ მოხალისეთა ფოტოგრაფიები, ვინც შედიოდა გერმანიის სამხედრო დაზვერვის – აბვერშტელის შემადგენლობაში, რომელიც ჩამოყალიბდა 1941 წლის მარტში გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმის წინ. ისინი ჩამოყალიბდნენ ემიგრანტების ხარჯზე, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობდნენ. ეს განსაკუთრებული ქვედანაყოფები გასაიდუმლოებული იყო სახელწოდებით „ორგანიზაცია „თამარი“. ცხადია, ქართველი თამარ მეფის აღსანიშნავად, რომლის დროსაც საქართველო შუა საუკუნეებში იყო ძლიერი ქვეყანა ამიერკავკასიაში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოტოსურათებს დაურთო ვრცელი კომენტარები.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელსაც არ შეუძლია თავისი სახელით იმოქმედოს, იგი გამოხატავს პრეზიდენტისა და ქვეყნის მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

მაგალითად, მკითხველს სთავაზობენ შესავალ ნაწილს: „როგორც ცნობილია, „ბარბაროსის“ გეგმის უშუალო დაწყებამდე ვერმახტის უმაღლესმა სარდლობამ, სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის წინა პერიოდში, სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობას – აბვერს დაავალა, მოემზადოს სპეციალური ოპერაციების განსახორციელებლად საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ოპერაციების მიზანი იყო: საქართველოს საზღვრებთან ვერმახტის მოახლოების მომენტისთვის ადგილობრივ მეამბოხეებთან თანამშრომლობით მოახდინოს საბჭოთა შეიარაღების დესტაბილიზაცია, რათა ამრიგად შეუმსუბუქოს საქართველოს გათავისუფლება ბოლშევიზმისგან. ამის შედეგად ზუსტად ორი დღით ადრე საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდა აბვერ-II-ის სპეციალური ოპერაციების განყოფილების უფროსი გენერალი ერვინ ლახუზენი: „სამხედრო-საველე შტაბის პირველი ოპერატიული განყოფილების დავალებათა შესასრულებლად სამუშაო შტაბ „რუმინეთს“ ევალება შექმნას ორგანიზაცია „თამარი“, რომელსაც ევალება შემდეგი ამოცანა: „ქართველების ძალებით აჯანყების ორგანიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე...“

კომენტატორები აღტაცებული არიან: „ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძირითადი მოტივი, რამაც ქართველი ემიგრანტები მიიყვანა აბვერის სადაზვერვო დივერსიული ჯგუფების რიგებამდე, იყო სწრაფვა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენ და არა რაიმე იდეოლოგიური ან პოლიტიკური მიზნები გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის პრაქტიკიდან“. შემდეგ კი მოჰყავთ ერთ-ერთი ქართველი დივერსანტის მოგონება „თამარის“ საბრძოლო გზის დაწყების შესახებ: „...ინგრეოდა რუსეთის იმპერია. ჩვენი სიხარული და იმედები იმასთან დაკავშირებით, რომ მალე საქართველო გათავისუფლდება რუსეთის მონობისგან, იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენ ყველანი, აუცილებლობის შემთხვევაში, მზად ვიყავით თავი გაგვეწირა სამშობლოს სახელით“.

„მეფისეულმა“ სპეციალურმა ქვედანაყოფმა, რომელიც შედგენილი იყო შერჩეული დივერსანტებისგან, საბრძოლო მოქმედებანი დაიწყო კიშინიოვში, შემდეგ გადავიდა ნიკოლაევში, იქიდან მელიტოპოლში, შემდეგ კი ყირიმშიც. 1942 წლის აგვისტოს დასასრულისთვის, როდესაც სამხედრო ფრონტის ხაზი მივიდა უშუალოდ კავკასიის მთავარ ქედთან, აბვერის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება – „თამარს“ დაეწყო მოქმედებანი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტის კომენტატორები მიიჩნევენ, რომ „თამარის“ დივერსიული ქვედანაყოფების გადასასროლად მშობლიურ ტერიტორიაზე შერჩეული იქნა მეტად ხელსაყრელი მომენტი. მოჰყავთ დოკუმენტები თავიანთი წინამორბედებისა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან: „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას მთელი სისრულით წარმოაჩენს საარქივო დოკუმენტი სახელწოდებით „ციფრული მონაცემები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობის შედეგების შესახებ ბანდიტიზმთან და დეზერტირობასთან ბრძოლაში სამამულო ომის პერიოდში“, რომელიც შედგენილია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის გრიგოლ კარანაძის მიერ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე. ამ წყაროს მონაცემით, 1942 წელს, ესე იგი მაშინ, როდესაც ფრონტის ხაზი მჭიდროდ მიუახლოვდა საქართველო საზღვარს, საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მიერ განადგურებული იქნა 19 ათასზე მეტი კაცი – „ბანდიტური ჯგუფებიდან“, „ერთეული ბანდებიდან“, „შეიარაღებული არალეგალებიდან“, „დეზერტირებიდან“ და ა.შ. ესე იგი, აქ მოხვდნენ უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ უშიშროების ორგანოების მიერ ლიკვიდირებულებიდან უმრავლესობა იყო ქართველი აჯანყებული პატრიოტები, რომელთაც მთელი დანაშაული იყო ის, რომ არ სურდათ სისხლი დაეღვარათ დამნაშავე სტალინის იმპერიის დასაცავად. ეს ხალხი პოტენციურად ვერმახტის მოკავშირეები იყვნენ. საქართველოს ზურგის მოსახლეობის ნაწილის აშკარა ან ფარული ანტისოვეტიზმი გახლავთ ქართველ მოხალისეთა ქვედანაყოფების თავად არსებობაც ვერმახტის შემადგენლობაში. ამან უბიძგა სტალინსა და მის გარემოცვას, განეხილა საკითხი ამ ქართველების გასახლებისა და დეპორტაციის შესახებ ყაზახეთსა და ციმბირში. თვითმხილველები იხსენებენ სტალინის მიერ წყნარად წარმოთქმულ ფრაზას: „რას იზამ, თუ არის ამის საფუძველი, მაშინ ისინი (ქართველებიძ უნდა გავასახლოთ“. წინააღმდეგ გამოვიდა ვიაჩესლავ მოლოტოვი, რის შემდეგაც ეს თემა დაიხურა.

აბვერის სარდლობამ „თამარის“ წინაშე დასახა მიზანი – დაამყაროს კავშირურთიერთობა ნაციონალისტურად განწყობილ პიროვნებებთან ადგილობრივ მოსახლეობაში, შექმნას მათს საფუძველზე აჯანყების ორგანიზაციები, რომლებსაც შეეძლებოდათ დახმარება აღმოეჩინათ ვერმახტისთვის გერმანელების საქართველოში შესვლის დროს.

ამისთვის დასავლეთ საქართველოში გაჩნდა დივერსანტების ოთხი შვიდკაციანი ჯგუფი, სადაც მეთაური და რადისტი გერმანელები იყვნენ, დანარჩენები – ქართველები, რომლებიც შესანიშნავად ახერხებდნენ ორიენტაციას მშობლიურ ადგილებში და იქ თავიანთი ნათესავები ჰყავდათ. ჰიტლერელები კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულები. ჰქონდათ ასაფეთქებელი ნივთიერების მარაგი, კომპასები და რუკები, წითელი არმიის დოკუმენტები და ფორმა, საბჭოთა ფული.

მაგრამ მიწაზე დაშვების დროს მათ კატასტროფული ჩავარდნა ელოდებოდათ. უმრავლესობა დაიჭირეს. ვინც თავი დააღწია, მათ ნათესავები არ ეხმარებოდნენ და ისინი დააპატიმრეს.

ქართველი ლეგიონერები იბრძოდნენ ვერმახტის განსაკუთრებული შენაერთის „ბერგმანის“, სპეციალური დივერსიული პოლკის „ბრანდებურგ – 800“-ის შემადგენლობაში აღმოსავლეთის და დასავლეთის ფრონტებზე, მონაწილეობას ღებულობდნენ დამსჯელ ოპერაციებში პარტიზანების წინააღმდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, საფრანგეთსა და იტალიაში. სულ მათი რაოდენობა ბევრი არ ყოფილა – დაახლოებით 20 ათასი კაცი. თანაც ყველგან ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ და ზოგჯერ უკანასკნელ ვაზნამდეც კი.

ამჟამად ოფიციალური თბილისი მოუწოდებს, რომ უყვარდეთ და ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ მცირერიცხოვან ცოცხლად დარჩენილებს და მათ მხარდამჭერებს. საქართველოს ახლა ახალი გმირები ჰყავს.

**ალბერტ ვენალაინენი**

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-მა დაადასტურა პაკისტანელი თალიბების მონაწილეობა ნიუ-იორკში ტერაქტის მცდელობაში**

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ნიუ-იორკის ტაიმს-სკვერში აფეთქების მცდელობაში პასუხისმგებლობა ეკისრება პაკისტანურ ისლამურ მოძრაობა „თალიბანს“, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული „ალ-ყაიდასთან“.

* * *



**კორვეტი კორეის სახალხო- დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვართან ააფეთქეს ტორპედოთი**

ნამსხვრევებში აღმოაჩინეს ასაფეთქებელ ნივთიერებათა კვალი, რასაც ჩვეულებრივად იყენებენ ტორპედოებში. მაგრამ მინისტრმა არ ახსენა ჩრდილოეთ კორეის მონაწილეობა აფეთქებაში, რის შედეგადაც 46 მეზღვაური დაიღუპა. ჩრდილოეთ კორეაში უარს აცხადებენ ხომალდის აფეთქებაში მონაწილეობის შესახებ.

* * *

**პრეზიდენტი მედვედევი გაემგზავრა სამდღიან ტურნეში აღმოსავლეთში**

რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ჩავა სირიასა და თურქეთში. იგი განიხილავს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს ეკონომიკურ და ჰუმანურ სფეროებში, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემებს.



* * *

**სამხრეთ ჩეხეთის თავზე დაიხურა საჰაერო მიმოსვლა ვულკანის ღრუბლის გამო**

პრაღის საერთაშორისო აეროპორტი „რუზინე“ ჯერჯერობით ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობს. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს საათებში საჰაერო სივრცე დაიხუროს პრაღის თავზეც. ყველაფერი დამოკიდებულია მეტეოსიტუაციაზე.

* * *

**ობამამ მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის დიპლომი**

ეს წოდება მას მიანიჭა ჰემპტონის უნივერსიტეტმა, რომელიც ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე ავტორიტეტულ უმაღლეს სასწავლებლად ითვლება ამერიკის უმაღლეს სასწავლებელთა შორის. როდესაც საპატიო დოქტორის დიპლომს ღებულობდა, პრეზიდენტმა ხუმრობით აღნიშნა, რომ „ის გაცილებით უფრო იაფი დაუჯდა, ვიდრე სამეცნიერო ხარისხის მიღება“ ჰარვარდში.



**წინაპარო, შენი ღირსი გამხადე!**

# საგალობლების ბედი და აკაკის ნათელი

**როგორ არ ვიყო მადლიერი ჩვენი გამოჩენილი კინორეჟისორის ნანა ჯანელიძისა – გასულ კვირაში მან ორი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის სანახავად მიგვიწვია.**

და რა ფილმები!.. ერთი-მეორეზე უკეთესები, ეროვნულობით, პატრიოტული სულისკვეთებით დამუხტულები!.. ამათგან ერთ-ერთის – **„გალობის რაინდების“** – დამდგმელი რეჟისორი თავად ქალბატონი ნანაა, ხოლო მეორე – ვასილ ამაშუკელის **„აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“,** რომელიც ქართველთა მრავალ თაობას უნახავს, ნანა ჯანელიძემ და მისმა მეგობრებმა – შესანიშნავმა კინომოღვაწეებმა მარინე კერესელიძემ და ნინო ნატროშვილმა შემოგვთავაზეს გაახლებულ-გაკასკასებული, რაც შესაძლებელი გახდა უცხოური ტექნოლოგიების გამოყენებით და უცხოელი მეგობრების დახმარებით.

– ამ ფილმის აღდგენა-რესტავრაცია, ახალი ვერსიის შექმნა ნინოსა და მარინეს იდეა იყო, – მიამბობს ქალბატონი **ნანა ჯანელიძე,** – მეც გამანდეს ჩანაფიქრი და, რაღა თქმა უნდა, დავინტერესდი... დავწერეთ პროექტი, მაშინ კულტურის მინისტრი ნიკა ვაჩეიშვილი იყო, რომელიც ყოველგვარ დახმარებას დაგვპირდა, თუმცა ჩვენთან მაინც ვერ მოხერხდა ამ საქმის დაწყება და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ისევ უცხოელებმა გამოიდეს თავი. ფილმის ორიგინალი (1912 წლის პოზიტივის შემორჩენილი ფრაგმენტებისაგან აწყობილი კინორგოლი) ციფრულ მატარებელზე გადაიტანა გერმანულმა ფირმამ, ხოლო ციფრული რესტავრაცია განახორციელა ავსტრიულმა კომპანიამ. დამზადდა კინონეგატივი და პოზიტივი. ახალი ვერსია შეიქმნა ფილმის ორიგინალის, 1954 წელს კარლო გოგოძის თაოსნობით აღდგენილი ვერსიისა და ყველა წერილობითი და ფოტოდოკუმენტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე... ასე რომ, მომავალ თაობებს, შეიძლება ითქვას, უკვე აქვთ ფილმი – საგანძური, ფილმი – ძეგლი, სადაც, თავად ნახეთ, ყოველი კადრი როგორ ბრწყინავს, სადაც ყოველი კადრი გვიდასტურებს, თუ რას ნიშნავს ქართველი კაცისთვის ჭეშმარიტი პოეტი და, კერძოდ, აკაკი წერეთელი, რა სიყვარულითაა იგი გარემოსილი, როგორ ეთაყვანებიან... თითქოს მართლა მეფეა... მე მივხვდი, რომ ჩემს ხალხს აღარ ძინავსო, ამბობს იგი ერთგან... ფილმმა შემოგვინახა მაშინდელი ეთნოგრაფიული ნიმუშები, ჩაცმულობა, ცეკვები, სიმღერები, საჭმელების დასახელებაც კი... „აკაკის მოგზაურობა“ – მესაძირკვლე ქართული კინოსი – შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული იდეების მქადაგებელიც შეიქნა სამომავლოდ ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის, – დასძენს ნანა ჯანელიძე.

* * *

დაფიქრებულა ოცდამეერთე საუკუნის ქართველთა უმეტესობა (განსაკუთრებით – ახალგაზრდობა) ვინ მოიტანა დღემდე ჩვენი განსაცვიფრებლად მოღუღუნე ჰანგები, მელოდიები, საგალობლები, საუკუნეები რომ გამოუვლიათ და ქართველი ერის უნიკალურობას ღაღადებენ შინ თუ გარეთ?..

ჰაი, ჰაი, რომ (თითო-ოროლა გოგო-ბიჭის გარდა, ვისაც ევალება ამის ცოდნა), აღარავის აინტერესებს ის გულმხურვალე წინაპარი, რომლის ყოველდღიურმა მოწამებრივმა ცხოვრებამ, რაინდულმა სულმა დღემდე შემოინახა ჩვენი საგანძური, თავად კი უჩუმრად, უსახელოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

სწორედ მათი აჩრდილები, სწორედ მათი სახელები არ ასვენებდა ჩვენს ბრწყინვალე „ქართულ ხმას“, ჩვენს შესანიშნავ ჟურნალისტსა და ლიტერატორს **თემურ ჭყუასელს,** როდესაც ქართული საგალობლების გადამრჩენელთა შესახებ სცენარის დაწერა გადაწყვიტა, ბევრი საარქივო მასალა მოიძია, ზოგი საკუთარმა მდიდარმა ფანტაზიამ უკარნახა და შექმნა კიდეც სცენარი „გალობის რაინდები“, რომელიც ქალბატონ ნანა ჯანელიძეს გააცნო და ისიც უყოყმანოდ შეუდგა მომავალ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმზე მუშაობას. ერთი გუნდი შეიკრა... სცენარის ავტორი თემურ ჭყუასელი, დამდგმელი რეჟისორი ნანა ჯანელიძე, პროდიუსერი ირაკლი ტრიპოლსკი, რედაქტორი ნინო ნატროშვილი, პოეტი რატი ამაღლობელი, რომელიც სადიქტორო ტექსტს პროფესიონალი მსახიობივით კითხულობს, და საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, ამ კარგ საქმეს რომ გვერდით დაუდგა.





დიახ, ფილმი ქართული საგალობლების გადამრჩენელთა შესახებ მოგვითხრობს, ჭეშმარიტი რაინდების შესახებ გვიყვება, რომლებიც დიდ სიჩუმეში დიდ საქმეს აკეთებდნენ... და, იცით როგორ?.. როდესაც ჩვენს ეკლესია-მონასტრებში ქართული გალობა აიკრძალა, როდესაც კირით გადათეთრდა ქართული ფრესკები და ეგზარხოსები და მეფისნაცვლები განაგებდნენ ამ ბედკრულ ქვეყანას, ჩვენმა ხალხმა იგრძნო, რომ თავის უბეში უნდა შეენახა ქართულ საგალობელთა ჰარმონია. მაგრამ, რა გასაკვირია, რომ ასე „ზეპირმეტყველებაში“ ბევრი საგალობელი იკარგებოდა... ჰოდა, სწორედ ამ დროს მოევლინა თავის მშობელ ქვეყანას იტალიაში მოღვაწე, „ლა სკალას“ სახელოვანი მომღერალი ფილიმონ ქორიძე, რომელმაც დათმო ყველაფერი და ქართული საგალობლების სანოტო ფურცლებზე გადატანას მიჰყო ხელი. ეს, ერთ დროს თაყვანისმცემლებით განებივრებული კაცი, გურიაში სოფელ-სოფელ დადიოდა, საგალობლებს იწერდა, სანოტო ფურცლებზე გადაჰქონდა და თავისი ზნეობით სხვებსაც ატყვევებდა. მაგალითად, ფილიმონის საშვილიშვილო შემართებით აღფრთოვანებული იყო მაქსიმე შარაძის სტამბის თანამშრომელი ესტატე კერესელიძე, რომელიც, მოგვიანებით, დაუძლურებული ფილიმონისგან იბარებს აუწონავ განძს – საგალობლების ნოტებით სავსე ყუთებს, მალულად გადააქვს აღმოსავლეთიდან დასავლეთში, ქუთაისში, მათი განადგურების საფრთხე რომ შეიქმნა, გელათის მონასტერში გადადის ესტატე, სასულიერო პირი – მამა ექვთიმე ხდება, იქვე მალავს ყუთებს, ამდენ მოგზაურობაში ნახევრად წაშლილ ბევრ სანოტო ხელნაწერს თავიდან წერს, ხოლო, მოგვიანებით, როდესაც გელათი დაიკეტა, მამა ექვთიმემ ისევ აღმოსავლეთ საქართველოს მიაშურა, ზედაზნის მონასტრის ეზოში ჩაფლა საგანძური და ამით საბოლოოდ შემოუნახა იგი შთამომავლობას – 30-იან წლებში ერთ-ერთმა მისმა თანამედროვემ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუყვა საგალობლების ისტორია, ის ადგილიც აჩვენა, სადაც ყუთები იყო დაფლული და ასე გადარჩა ფასდაუდებელი საგანძური, რომლითაც დღეს დიახაც მოგვაქვს თავი.

ექვთიმე კერესელიძე, ცხადია, უკვე აღარ იყო ამქვეყნად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ 1988 წელს იგი წმინდანად შერაცხა, წმინდა ექვთიმე აღმსარებელი უწოდა.

ამ ფილმების ცქერისას გონებაში თავისთავად წამოტივტივდა ჩვენი ძვირფასი შოთა ნიშნიანიძის პოეტური სტრიქონი: „წინაპარო, შენი ღირსი გამხადე!“ მე თუ მკითხავთ, ეს ორი ფილმი ჩვენი განათლებისა და კულტურის სამინისტროებმა, სავალდებულო სასკოლო პროგრამაში უნდა ჩართონ, აუცილებელია იცნობდეს მათ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა, იმართებოდეს ამ ჭეშმარიტად ეროვნული ნაწარმოებების განხილვა ღია გაკვეთილებზე, რათა თვალნათლივ ვაჩვენოთ, გონებაში ჩავუბეჭდოთ ჩვენს მოზარდებს, თუ რა მაღალი ზნეობით ცხოვრობდნენ, რა სიყვარულით სავსე გულებს დაატარებდნენ ჩვენი წინაპრები...

თუნდაც ამიტომ უდიდესია ამ ორი ფილმის მნიშვნელობა, რომელთაც (თუ მშვიდობა იქნა) კიდევ რამდენიმე ნაწარმოებს მიუმატებენ ქალბატონი ნანა ჯანელიძე და მისი მეგობრები. მაგალითად, რეჟისორის აზრით, აუცილებელია დოკუმენტურ-მხატვრული, ასევე ვთქვათ, სასწავლო ფილმები ილია ჭავჭავაძეზე, ივანე ჯავახიშვილზე, იაკობ გოგებაშვილზე, დავით სარაჯიშვილზე და ასე შემდეგ... ფილმები, რომლებიც კომპიუტერითა და ინტერნეტით ტვინგადაღლილ ჩვენს ახალგაზრდებს წინაპრებისადმი მოწიწების გრძნობას გაუღვიძებენ და აფიქრებინებენ კიდევ: „წინაპარო, შენი ღირსი გამხადე!“

**ვილენ მარდალეიშვილი.**



**სურათებზე:** რეჟისორი ნანა ჯანელიძე; კადრები ფილმებისა **„აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ და „გალობის რაინდები“.**

---

**მეცნიერება**

## მსჯელობა ტექნოლოგიების თანამედროვე პრობლემებზე

**თბილისში 2-6 მაისს გაიმართა ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია „ინფორმაციული და გამოთვლითი ტექნოლოგიები“. ეს ფართო წარმომადგენლობის ფორუმი მიეძღვნა ინფორმატიკის ქართული სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების, პროფესორების ელენე დეკანოსიძისა და მურმან წულაძის ხსოვნას.**

აქვე სათქმელად, ორივე განსვენებულმა თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანეს 1950-იანი წლების საქართველოსათვის სრულიად ახალი ტიპის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების – ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის (შემდგომ გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის) ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

კონფერენციის ფართო წარმომადგენლობა მრავალრიცხოვან თბილისელ მკვლევართან ერთად განსაზღვრა უცხოელი სპეციალისტების ჩამოსვლამ ბაქოდან, ერევნიდან, ვინიციდან, კიევიდან, მალაგიდან, მოსკოვიდან და ნოვოსიბირ-



სკიდან. ორ სექციაში – „მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი მეთოდები“ და „ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები“ ჩატარებულ ხუთ-ხუთ სხდომაზე 70-ზე მეტი მოხსენება მოისმინეს შესაბამისი დარგების აქტუალური საკითხების ირგვლივ. საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში შემდგარ პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს ვ. ივანიკოვმა (მოსკოვი), ვ. სააკიანმა (ერევანი) და დ. გორდეზიანმა (თბილისი).

ფორუმზე წარმოდგენილი ყველა მოხსენება განთავსდება ინტერნეტში. განზრახულია შრომათა კრებულის გამოქვეყნებაც.

დღევანდელ ვითარებაში ასეთი მასშტაბური, მაღალი მეცნიერული დონის კონფერენციის მოწყობა (მით უფრო, ნაირ-ნაირი პრეზენტაციისა თუ გაუთავებელი პოლიტიკური ბრიფინგების ფონზე) მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ დედაქალაქის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. დასანანი, ჩემი ფიქრით, მხოლოდ ისაა, რომ სამუშაო პროგრამაში დრო ვერ გამოინახა ქალბატონ ელენესა და ბატონ მურმანზე მოგონებებით გამოსვლებისთვის...

**თამაზ ებანოიძე**

---

**ინფორმაცია**

### მცხეთას დატბორვა ემუქრება

**მცხეთა** დატბორვის საფრთხის წინაშე დგას. უკვე მეათე დღეა მთიდან წყალი მოედინება, რომელმაც მტკვრის ქუჩაზე მოსახლეობის ეზოები დატბორა. დაზიანდა გზის სავალი ნაწილიც. მოსახლეობის განცხადებით, თუ წყლის ნაკადი არ შეჩერდა, ქუჩასთან ერთად, შესაძლოა, მახლობლად მდებარე სარკინიგზო ხაზი დაიტბოროს.

გამგეობის წარმომადგენელთა განცხადებით, გასაწმენდია დაზიანებული სანიაღვრე არხი, ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და სამუშაოები მალე დაიწყება.

### ამინდი კვლავ გაუარესდება

**სინოპტიკოსები** საქართველოში დღეიდან ამინდის გაუარესებას პროგნოზირებენ.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია წვიმა ელჭექით. აღმოსავლეთში კი, შესაძლოა, სეტყვაც მოვიდეს.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 22-27 გრადუსზე დაფიქსირდება, ხოლო აღმოსავლეთში - 20-25 გრადუსი.

ნალექი და ცვალებადი ამინდი ასევე მოსალოდნელი თბილისშიც, სადაც ტემპერატურა 22 გრადუსამდე იქნება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ფრენბურთი



# ფედერაციას რაღა ევალება?

**საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები (ივანიშვილი, ახვლედიანი, ლობჟანიძე, ავეტისოვი, ხალათიანი, ჯანხოთელი, ლიპარტელიანი; სათადარიგოები – ჯიშკარიანი, ჯიმშელეიშვილი) 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მოსახვედრად ქუთაისში ბოსნიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. ჩვენდა სამწუხაროდ, სტუმრებმა ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს და მატჩი 3:0 (25:16, 25:17, 25:15) მოგვიგეს.**

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ირაკლი ჩაჩუას შეხვედრის წინ დაუჩივლია, დღევანდელი შემადგენლობიდან ძირითადში მხოლოდ ორი ფრენბურთელი მყავდა შეგულებული, დანარჩენები სათადარიგოთა სკამზე უნდა მსხდარიყვნენო, რადგან საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება აკლდათ.

საინტერესოა, სად იყვნენ ძირითადის მოთამაშეები? იქნებ ფედერაციამ გაგვცეს პასუხი, ასეთ მნიშვნელოვან მატჩზე ისინი რატომ არ ჩამოვიდნენ სამშობლოში. სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ „გაქართველებული“ ბრაზილიელები – რენატო გომეში და ჟორჟ ტერშეირო უცხოეთში არიან მსოფლიოს თასის ეტაპებზე სარეიტინგო ქულებისა და ფულის მოსაპოვებლად და „მეორე სამშობლოს“ ბედი, ეტყობა სრულებითაც არ ადარდებთ (საინტერესოა, ფედერაცია ხელფასებს თუ აძლევს მათ).

საქართველო-ბოსნიის განმეორებითი მატჩი სტუმრად 16 მაისს გაიმართება. ჩვენი ფრენბურთელები შინ წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ ბოსნიაში ტურისტებად თუ გაემგზავრებიან, თორემ, არა მგონია, ყოფილმა „იუგებმა“ სამშობლოდან რამე გამოგვატანონ.

უნივერსალური ორთაბრძოლები

# თანადგომის სიკეთე

**ირანის ქალაქ ჰამადანში ოთხ დღეს გრძელდებოდა 2010 წლის აზიის ღია ჩემპიონატი და მსოფლიოს თასის გათამაშება უნივერსალურ და ორიენტალის ორთაბრძოლებში. პირველობისთვის 15 ქვეყნის 250 წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის 7 სპორტსმენი – საქართველოდან ფედერაციის პრეზიდენტის სოსო დოლიძის ხელმძღვანელობით.**

დაძაბული პაექრობების შემდეგ ოქროს მედლები და თასი გორელმა რაულ თუთარაულმა (67 კგ) და თბილისელმა დავით ჯანგველაძემ (79) მოიპოვეს, ხოლო შეირაღებული ძალების კაპრალ მამუკა ჩხიკვაძეს (61) ბრინჯაო ხვდა. საგულისხმოა, რომ სამივე სპორტსმენმა ჰამადანში გამგზავრებამდე ერევნის საერთაშორისო ტურნირი მოიგეს.



აზიის ღია ჩემპიონატისთვის სპორტსმენები სოსო დოლიძემ და გიორგი შოშიტაშვილმა მოამზადეს. გუნდს თანადგომა საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ და დიდუბის მანეჟის დირექტორმა გივი ბედოშვილმა აღმოუჩინეს.

**სურათზე: ქართველი სპორტსმენები ტურნირის გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან.**

ძიუდო

# გამარჯვების დღე „ბრინჯაოთი“ აღნიშნეს



**ტუნისში დამთავრდა ძიუდოისტთა დიდი პრიზის გათამაშება, რომელშიც საქართველოს 14 ფალავანი მონაწილეობდა. მათგან მხოლოდ ვარლამ ლიპარტელიანმა და ლომერ ჟორჟოლიანმა მოიპოვეს მედლები.**

გამარჯვების დღეს – 9 მაისს 90 კილოში ლიპარტელიანმა ჩინელი იანჟუ ჰი, ბერძენი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაურიძე) და უკრაინელი ვადიმ სინიავსკი იპონით დაამარცხა, თავად კი იაპონელ ტაკაში ონოსთან ვაზარით წააგო და მესამე ადგილზე გავიდა. ასევე, „ბრინჯაო“ ხვდა ჟორჟოლიანს 100 კილოში. ლომერმა იტალიელ ალბერტო ბორინის იპონით სძლია, შემდეგ ჩეხ ლუკაშ კრპალეკსაც დააყრევინა ფარ-ხმალი, მაგრამ ფრანგ ფრედერიკ შტიგელმანთან ვერაფერი გააწყო. ორივე ქართველმა ძიუდოისტმა საოლიმპიადოდ 80-80 ქულა მოიპოვა. ლევან წიკლაური (81 კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+100) მეხუთე ადგილებზე გავიდნენ და 40-40 სალიცენზიო ქულა ერგოთ.

ჭადრაკი

# ნანა მესამეა



**ნალჩიკში დამთავრდა მოჭადრაკეთა ქალთა ფიდეს გრან-პრის პირველი გათამაშების მესამე ტური, რომელშიც ქუთაისელი დიდოსტატი ნანა ძაგნიძეც მონაწილეობდა.** 11 შესაძლებლიდან მან 7 ქულა მოაგროვა და მე-3 ადგილი დაიკავა. ტურნირზე ნანამ მხოლოდ ერთი პარტია წააგო ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევასთან (რუსეთი), დანარჩენ 10 შეხვედრაში ოთხი მოიგო (მათ შორის მე-2 ადგილზე გასულ ჩინელ ჰოუ იფანთანაც) და 6 ორთაბრძოლა ყაიმით დაასრულა. საგულისხმოა, რომ გრან-პრის მე-2 ტურში, რომელსაც ჩინურმა ნანქინმა უმასპინძლა, ძაგნიძემ მე-2 ადგილი დაიკავა მასპინძელ სიუ იუჰუას შემდეგ.

ნალჩიკში 12 მოჭადრაკეს შორის ადგილები ასე განაწილდა: კოსინცევა – 9, ჰოუ იფანი – 7,5, ძაგნიძე – 7, ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი) – 7, ტურნირის რეიტინგ-ფავორიტი ჰამფი კონერუ (ინდოეთი) – 5,5, მონღოლელი ბათუიაგი (მონღოლეთი) – 5,5, ჟუ ჩენი (ყატარი) – 5,5, ბაისა კოვანოვა (რუსეთი) – 5, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) – 5, ჟაო სიუ (ჩინეთი) – 5, ბეთულ ილდიზი (თურქეთი) – 2,5, ელინა დანიელიანი (სომხეთი) – 1,5 ქულა.

# ყველაფერი დღეს გადაწყდება!

**დიახ, დღეს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში უნდა გაიმართოს მსოფლიო პირველობის ბოლო, მე-12 პარტია. თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ. სხვათა შორის, ამ მატჩზე ოფიციალური კომენტატორია ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.**

როგორც უკვე ვწერდით, ამ მატჩის მერვე პარტიაში ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა დაამარცხა ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი და ანგარიში გაათანაბრა – 4:4. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ პარტიაში ანანდმა ორი უხეში შეცდომა დაუშვა 22-ე და 54-ე სვლებზე, რამაც განაპირობა ამ პარტიაში მისი დამარცხება.




მეცხრე პარტიაში მსოფლიო ჩემპიონი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, რაც ტრადიციულად ერთგვარ უპირატესობად მიაჩნიათ. ისევ სპეციალისტების მტკიცებით, ანანდმა ამ პარტიაში ორჯერ გაუშვა ხელიდან მოგების შესაძლებლობა, მათგან ერთში შავი მეფე „დაღუპვის“ პირას იდგა, მაგრამ საკონტროლო მეორმოცე სვლაზე ტოპალოვმა ის გადაარჩინა და პარტია თითქმის თავიდან დაიწყო. საქმე ბოლოს მუდმივ ქიშამდე მივიდა. ეს ყაიმი ტოპალოვისთვის გამარჯვების ფასად მიიჩნიეს – 4,5:4,5. მეათე პარტიაშიც დიდოსტატები ყაიმზე შეთანხმდნენ – 5:5. კვირას, გამარჯვების დღეს გაიმართა მე-11 პარტიაც, თუმცა მეტოქეთა დაპირისპირება კვლავ ყაიმამდე მივიდა – 5,5:5,5.

ასე რომ, დღეს გაიმართება მსოფლიო გვირგვინისთვის ბრძოლის მეთორმეტე, დასკვნითი პარტია. ბულგარელი დიდოსტატი ალბათ ეცდება თეთრი ფიგურების „უპირატესობის“ გამოყენებას. ყაიმის შემთხვევაში კი მათ ტაი-ბრეიკი მოელით, სადაც მოქმედი ჩემპიონი, როგორც ამბობენ, ძალებს არ დაიშურებს.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური




**ეროვნული ჩემპიონატი. XXXIV ტური.** „ვიტ ჯორჯია“ – „ოლიმპი“ 2:0 (კლიმიაშვილი, რაზმაძე), „დინამო“ – „ბაია“ 3:0 (აკირემი, ვაწაძე, ჩიკვილაძე), ცხინვალი – „ზესტაფონი“ 1:4 („დუბლი“ დვალმა შეასრულა), „გაგრა“ – „სამტრედია“ 2:1, „სიონი“ – „ლოკომოტივი“ 1:0:

**ლიდერთა ჯგუფი:** „ოლიმპი“ – 76, „დინამო“ – 68, „ზესტაფონი“ – 64 ქულა.

**ბომბარდირი:** აკინო („ოლიმპი“) – 26 გოლი.

* * *

**იტალია.** „ინტერი“ – „კიევო“ 4:3, „რომა“ – „კალიარი“ 2:1, „ჯენოა“ – „მილანი“ 1:0.

**ესპანეთი.** „სევილია“ – „ბარსელონა“ 2:3, „რეალი“ – „ბილბაო“ 5:1, „ვილიარეალი“ – „ვალენსია“ 2:0.

**ინგლისი.** „ჩელსი“ – „უიგანი“ 8:0 (!), „მანჩესტერი“ – „სტოკი“ 4:0, „არსენალი“ – „ფულჰემი“ 4:0. **„ჩელსი“ ჩემპიონია.**

ინტერნეტიდან

## ჯარიმა სიკვდილის შემდეგ

**ეს ხორვატეთში მოხდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ქვეყნის დაბალი დივიზიონის კლუბი „მლადოსტი“ და „ხრატსკი სოკოლი“. 35-ე წუთზე მინდორზე დაეცა „მლადოსტის“ 32 წლის მცველი გორან ტუნიჩი. შეხვედრის მთავარ მსაჯს ეს სიმულაცია ეგონა და ყვითელი ბარათი დააძრო.**



თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ფეხბურთელს გულის შეტევა მოსვლია და მსაჯმა მაშინვე გამოიძახა ექიმთა ბრიგადა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო – ტუნიჩი მახლობელ საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. როგორც კლუბის მესვეურები აცხადებენ, ფეხბურთელს ადრე ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონია.

## ჩემპიონიც მოაჯადოვა

**დიდი სკანდალი გამოიწვია WBA ვერსიით პირველ ქვესაშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის, მოკრივე ამირ ხანის მიმოწერამ მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალების მოდელთან ლიანა კროუსთან, დიდებული მკერდის პატრონი რომაა. 21 წლის ლამაზმანს, ერთი თვის წინათ ლოს-ანჯელესში რომ გაიცნო, მოკრივე უგზავნიდა ინტიმური ხასიათის წერილებს, აგრეთვე შიშველად გადაღებულ თავის ფოტოსურათებსა და მისგანაც მოითხოვდა ასევე პიკანტური სურათების გაგზავნას.**



ბრიტანული კანონების მიხედვით, ხანის ასეთი საქციელისთვის ემუქრება ნახევარწლიანი პატიმრობა ან ხუთი ათასგირვანქიანი ჯარიმა.

## ◉ გამარჯვება — 65

# ისინი საქვეყნო მშვიდობისთვის იბრძოდნენ

**9 მაისს ქალაქ სენაკის ბაღში, სადაც აღმართულია დიდ სამამულო ომში დაღუპული სენაკელი გმირის ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი, თავი მოიყარეს ომის ვეტერანებმა, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ. მათ ყვავილებით შეამკეს ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი.**

ომის ქარცეცხლიან დღეებს და ვეტერანების მიერ განვლილ გზას მაღალი შეფასება მისცეს სიტყვით გამოსულებმა — სენაკის მუნიციპალიტეტის ვეტერანთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ მამანტი ქვარცხავამ, მისმა მოადგილემ, ომის ვეტერანმა გიორგი გარუჩავამ, მოსწავლე მეგი საჯაიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თენგიზ ადამიამ და სხვებმა.

მათ აღნიშნეს, რომ დიდ სამამულო ომში ფრონტზე წავიდა შვიდ ათასზე მეტი სენაკელი, მათგან მშობლიურ კუთხეს მხოლოდ ნახევარი დაუბრუნდა...

საზეიმო შეხვედრაზე შეამკეს დაღუპულთა ბაღში და სკვერში აღმართული საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას და სხვათა ბიუსტები.

შემდეგ შეკრების მონაწილეები გაემგზავრნენ სოფელ მენჯში, სადაც ყვავილებით შეამკეს სენაკის ყოფილ ჰოსპიტალში გარდაცვლილთა ძმათა სასაფლაოზე აღმართული მემორიალი...

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

## ◉ კალათბურთი

# საჩუქრად — პრეზიდენტს

**ერთ თვეში „ბარსელონას“ ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ბუნებრივია, ჟოან ლაპორტას საკადრისად გასაცილებლად კატალონიური გრანდის თითოეული დანაყოფი ირჯებოდა და ირჯება.**

მოგეხსენებათ, მისი თავკაცობით ჯერ ფრანკ რაიკაარდის (2006 წელს), ხოლო შემდეგ ხოსეპ გვარდიოლას (2009 წელს) გაწვრთნილმა „ბროწეულისფერებმა“ ორჯერ მოიგეს საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგა, თუმცა წლეულს ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლეს.





საბედნიეროდ, თანაკლუბელებს მხსნელად კალათბურთელები მოევლინენ, რომლებმაც პარიზში გამართულ ევროლიგის ოთხთა ფინალში დაჯაბნეს მრისხანე მეტოქენი და მეორედ ავიდნენ ოლიმპზე (პირველად — 2003 წელს).

სხვათა შორის, ხავიერ პასკუალის შეგირდები შარშანაც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ნახევარფინალში ცსკა-სთან დამარცხდნენ — 78:82.

ბედის ირონიით, ეს გუნდები ამჯერადაც ამავე ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და უილბლო დებიუტის (2:11) შემდეგ ესპანეთის ქვეშევრდომებმა ღირსეული რევანში აიღეს — 64:54.

კიდევ უფრო მძაფრად განვითარდა მოვლენები პირეოსის „ოლიმპიაკოსისა“ და ბელგრადის „პარტიზანის“ დუელში. მაშინ, როცა დრამატული ბრძოლის დასრულებამდე 7 წამით ადრე მაკალებმა სერბები დააწინაურეს — 67:65, ბალკანელებს მწვანე შუქი აენთოთ გადამწყვეტი მატჩისკენ, მაგრამ დარჩენილ მცირე დროში ჩილდრესმა მოასწრო ანგარიშის გათანაბრება — 67:67 და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა, სადაც ნერვებმა ჯერ კეცმანს უმტყუნა, ხოლო მოგვიანებით — მარიჩს, მათი მეხუთე პერსონალური შენიშვნა კი ექსიუგებისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა — კლეიზამ, თეოდოსიჩმა, ჩილდრესმა და ბურუსისმა ბერძნებს მძიმე გამარჯვება მოუტანეს — 83:80.

ეტყობა, ელადელებმა აღნიშნულ წარმატებას დიდი ძალები შეალიეს და კონდიციების აღდგენა ვერ მოახერხეს. სხვაგვარად ძნელია იმ აშკარა უპირატესობის ახსნა, რომელსაც დასკვნით რაუნდში „ბარსა“ ფლობდა — 86:68. ნახევარფინალის გმირი ნავარო ამჯერადაც შეუდარებელი გახლდათ — 21 ქულა. მას დიდებულად აუბეს მხარი ბაზილემ, რუბიომ, ნდონგმა და ვასკესმა.

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ენიშნებათ თუ არა პენსია მის მშობლებს ან მეუღლეს, თუ როგორც ჩვეულებრივი პენსია, მხოლოდ 18 წლამდე ასაკის შვილებს ენიშნებათ?**

**მკითხველი**

**პასუხი:** პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაცია (და არა პენსია) ენიშნებათ 18 წლამდე ასაკის შვილებს, აგრეთვე შრომისუუნარო მეუღლესა და შვილებს (ასაკის მიუხედავად).

* * *

**კითხვა: ადრე მოქმედი კანონით, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობოდა 18 წლის ასაკიდან, მაგრამ თუ მუშაობდა 16-დან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, მისთვის კანონით დაწესებული იყო გარკვეული შეღავათები. როგორ არეგულირებს ამ საკითხს დღეისათვის მოქმედი შრომის კოდექსი?**

**ვასიკო მჭედლიძე**

**პასუხი:** 2006 წლის 4 ივლისიდან მოქმედი შრომის კოდექსით ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. აქედან გამომდინარე რაიმე შეღავათები 16-დან 18 წლამდე ასაკის იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მუშაობენ, კანონით გათვალისწინებული არ არის.

* * *

**კითხვა: ვარ მარჩენალდაკარგული და ვზრდი 3 ობოლს. მაინტერესებს, მოქმედი კანონის თანახმად, როგორი წესით გამოიანგარიშება პარლამენტის ყოფილი წევრის ოჯახისთვის დანიშნული კომპენსაციის ოდენობა?**

**ნანა სიორიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თუ ყოფილ პარლამენტარს დარჩა შრომისუუნარო ოჯახის წევრები: 18 წლამდე ასაკის ან ამ ასაკს გადაცილებული, მაგრამ ინვალიდი შვილი და მეუღლე, მათთვის დასანიშნი კომპენსაციის ოდენობა იქნება პარლამენტის წევრის კუთვნილი კომპენსაციის 75 პროცენტი, მიუხედავად იმისა აწ გარდაცვლილ პარლამენტარს მოპოვებული ჰქონდა თუ არა კომპენსაციის მიღების უფლება.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

## მეგობრის ხსოვნას

# რობერტ ოქუაშვილი



არ ველოდით, ბატონო რობერტ, თქვენს ასეთ უეცარ გარდაცვალებას. გიჭირდა სუნთქვა, მოძრაობა, გულსაც უჩიოდი. ოპერაციაც გადაიტანე. გვეგონა, სამზეოსკენ მოიხედავდი. ველარ გაუძლო დაუძლურებულმა სხეულმა ამდენ დაძაბვას. სასიცოცხლო ძალა გამოგეცალა, ჩვენს თვალწინ ჩაქრა შენი სანთელი, ჩვენთვისაც რომ ენთო. ვერაფერი გიშველეთ, უზომოდ დაგვამწუხრა წუთისოფლიდან შენისთანა სპეტაკი და რაინდული ქცევის ადამიანის წასვლამ.

იმედისმომცემად გვეგულებოდი მუდამ, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი, ამ გაუსაძლის, მძიმე დროში ყველა ჩვენგანის უანგაროდ დამხმარე, მანუგეშებელი. გვიხაროდა, თანდაყოლილი კეთილშობილებით აღსავსე სულით ბრწყინავდი. დიდი ვაჟას თქმისა არ იყოს, სიკეთეს არავის უგვიანებდი. დღენიადაგ მზად იყავი მეგობრებისთვის პატივი გეცა, ხელი გაგემართა, არავის აკლებდი სითბოს, ყურადღებას. ბუნებამ დაგაჯილდოვა განუმეორებელი ნიჭიერებითა და უტყუარი ალღოთი. იყავი წარმატებული მშენებელი, ფინანსისტი, სიტყვის კაცი, ქველმოქმედი, ყველა ღირსებით შემკული ბიზნესმენი, ერთ-ერთი პირველი საქართველოში. სწორედ შენისთანები ამაგრებენ ქვეყნის ბალავარს, ქმნიან დოვლათს, ადამიანთა არსებობის მტკიცე დასაყრდენს.

ერთი რამ კი გვამშვიდებს — იცხოვრე ისე, როგორც შეშვენოდა და შეეფერებოდა შენს სახელოვან წინაპრებს, დიდებულ დედ-მამას, ბატონ გიორგის, ქალბატონ თამარ ქურდევანიძეს, მათგან ჩანერგილ საამაყო ქართულ ტრადიციებს. სამუდამო მადლიერებისა და მოვალეობის გრძნობით იგონებდი გარდაცვლილებს, ჭირისუფლად იყავი დაბადებული.

შენს უზადოდ, ნამუსიანად გავლილ ცხოვრებას როცა ვაკვირდებით, ძმაო რობერტ, განცვიფრებული ვართ, როგორი დაუოკებელი ენერგიის კაცი ბრძანდებოდი, სულიერად მდიდარი, უაღრესად ემოციური, ჭეშმარიტი სილამაზის დამნახავი და დამფასებელი. მშვენიერების ძიებაში ვერავინ შეგედრებოდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთმა ადამიანმა ამდენის შექმნა, გაკეთება მოასწრო, თანაც დაუყვედრებლად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე. დღე და ღამეს ასწორებდი, თავგანწირულად შრომობდი, ყველას კაცური კაცობის მეტყველ მაგალითს აძლევდი. შედეგმაც არ დააყოვნა — დგას შენი ძალისხმევით აგებული ასობით სახლი, საგანგებო დანიშნულების მრავალი შენობა. იყავი გაბედული და უშიშარი, არ გჩვეოდა სიძნელეთა წინაშე უკან დახევა.

მფარველად მიაჩნდი სისხლით ნათესავებს, დეიდაშვილებს, ბიძაშვილებს. ყოველთვის სიამაყითა და განსაკუთრებული სიყვარულით წარმოთქვამდნენ და წარმოთქვამენ შენ სახელს ნოდარ გრიგოლია, თამაზ არეშიძე, ზივი ბიბილეიშვილი, დავით ბეჟანიშვილი, არჩილ ქურდევანიძე, სხვები და სხვები. ასევე ვამაყობთ შენით, ბატონო რობერტ, შენივე მადლიერი მეგობრები: ბიძინა კვერნაძე, ლერი ხუციშვილი, დიტო კიკვაძე, ჟანრი ლოლაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ელეგანტური, მოკრძალებული სიყვარულით აღსავსე ბრძანდებოდი მანდილოსნებთან ურთიერთობაში... სამაგალითო ოჯახის პატრონი — მეუღლის, ქალბატონ მელიტას, შვილების — თათიას, ზაზას, რძლის, შვილიშვილების — ზაალის, სალომეს, რატის, გიორგის მზეს იფიცებდი, უსაზღვრო სიყვარულით ლაპარაკობდი მათზე. დაიზრდებიან პატარები, შენი შთამომავლები და ამგვარივე სიყვარულით მოგიგონებენ ძვირფას პაპას.

ვინც გიცნობდა, ვისაც თუნდ ერთხელ ჰყავდი ნანახი, ყველა ამბობს — რობერტ ოქუაშვილი გამორჩეული პიროვნება იყო. არაფრით არ გვინდა შევეგუოთ მწარე სინამდვილეს, დასავიწყებლად ვერასოდეს გაგიმეტებთ, კვლავ იმედად, მანუგეშებლად გვეგულები და ამიტომაც მოგმართავთ, როგორც ცოცხალს: ძმაო რობერტ, ყველამ იგრძნო — დააკლდი არა მარტო ოჯახს, სანათესაოს, ეგზომ გალარიბებულ სამეგობროს, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანას, ვინაიდან ერი სწორედ შენნაირი კაცებით ამაყობს. შენს წმინდა სახელს ბოლომდე შეინახავს ჩვენი გული, მეხსიერება. გვჯერა, უფლის მადლითა და შეწევნით, ზეციურ სამყაროში, სამუდამო სასუფეველს დაიმკვიდრებ.

**ნათესავები, მეგობრები**

## განცხადება

**შპს „შ.შ.მ.პ-თა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“, ქ. თბილისი, სპ. კედიას ქ. №7 აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის: III სართული 33 კვ.მ.**

**საწყისი საკონკურსო ღირებულებაა — აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში, დღგ-ს გარეშე.**

**ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.**

**ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:**

1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არა უმეტეს 1 წლით;
2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს „შშმპ-თა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ შენობაში 2010 წლის 25 მაისს — ქ. თბილისი, სპ. კედიას ქ. №7, ოთახი 34. ტელ: 34-80-47.

**ბელაშვილების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**ბადრი დავითის ძე ბელაშვილი**

**პანაშვიდი 11, 12 V, 18 სთ. გამოსვენება 13 V, 14 სთ. მისამართი: ავჭალა, ლიბანის 29, I სადარბაზო, ბინა №4.**



**რეკლამა** **„საქართველოს რესპუბლიკაში“**
**გ. ახვლედიანის ქ. №19.**
**99-62-77; 899 32-85-76.**

## დაიჯესტი

### რჩევები

### ბედნიერების ლურჯი ფრინველის კვალში

**კაცი არ არსებობს ქვეყანაზე, ვისაც ბედნიერებაზე არ უოცნებია და ამ წინადადებაში სიტყვა „ალბათ“ სრულიად ზედმეტია. ცხადია, ბედნიერების გარკვეულ სტანდარტულ მდგენელთა ერთგვარი ნუსხა არსებობს, ვთქვათ, ისეთები, როგორებიცაა ტკბილი ოჯახი, კეთილდღეობა, კარგი სამსახური, კომფორტი და ა.შ. მაგრამ, ამასთან ერთად, თითოეულ ჩვენგანს აქვს კიდევ რაღაც სხვა, სრულიად ინდივიდუალური, რომელიც თუკი აკლია, თავს ჭეშმარიტად ბედნიერად ვერაფრით იგრძნობს. ზოგისთვის ეს, შესაძლოა, ბუნება იყოს, ზოგისთვის – ხელოვნება, ან ჰობი, ან სპორტი, ან კიდევ... მოკლედ, ათასი რამ.**

თუმცა, ხშირია იმედგაცრუებაც, რომელიც განსაკუთრებით მოსდით იმათ, ვინც ფუჭი ილუზიებით ცოცხლობს. ამიტომ, რა თქმა უნდა, უმჯობესია საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უფრო მეტად რეალისტი იყოთ. მიამიტობა იქნება, კაცმა იფიქროს, რომ შესაძლოა ვინმეს ურჩიო, თუ როგორ უნდა გახდეს ბედნიერი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი რჩევის გათვალისწინება მაინც ღირს.

**1. ნუ მოელით სამართლიანობას, უმჯობესია თავადვე გაუკეთოთ საკუთარ თავს ყველაფერი, რაც სიხარულს მოგანიჭებთ:** გიყვარდეთ, გყავდეთ მეგობრები, გქონდეთ მრავალმხრივი ინტერესები. ნაკლებად იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ ყოველივეს, რისიც, თქვენი აზრით, ღირსი ხართ, უმჯობესია ამის მისაღწევად მიზანდასახულად გაისარჯოთ,





რისთვისაც, პირველ ყოვლისა, საკუთარ სიზარმაცეს უნდა სძლიოთ.

**2. თუკი გარემოცვა ხელს უშლის თქვენს განვითარებას – შეცვალეთ ის.** ამის გაკეთება ძნელია, მაგრამ აუცილებელი, თუმცა კონფლიქტებში ჩაბმა ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი, ამიტომ მეტი მოქნილობა გმართებთ.

**3. სტანდარტების მიყოლა ცხოვრებას აუფერულებს.** იქნებ სცადოთ გვერდი აუაროთ ტრაფარეტებს, დიდი ხნის გაკვალულ ბილიკებს და საკუთარ თავს ცხოვრების ახალი, ორიგინალური სცენარი დაუწესოთ? თუმცა საამისოდ ქვეყნად არსებული წეს-წყობილების თავდაყირა დაყენება სულაც არ არის სავალდებულო. ვფიქრობთ, ამ რჩევაში ყველაფერია ნათქვამი და რაიმე დამატებით განმარტებას არ საჭიროებს.

**4. მეტად მნიშვნელოვანია ცხოვრების გზაზე გაკვირვების, ყველაფრის თავიდან დაწყების უნარის შენარჩუნება და მადლიერების გრძნობის ქონა.** ამაში თავადაც დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მადლიერება – ეს ტვირთი და მძიმე მოვალეობა კი არა, არამედ ბედნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელია.

**5. დროდადრო რაღაც მხოლოდ საკუთარი გულის გასახარად და საკუთარი სიამოვნებისთვის უნდა გააკეთოთ** და ის ხალხი მოძებნოთ, ვინც თქვენს გამოცდილებას გაიზიარებს, ამისთვის კი არ დაგზრახავთ, არამედ მხარში ამოგიდგებით. ყოველთვის, ცხადია, არა, მაგრამ ზოგჯერ საკუთარი ინტერესები სხვებისაზე, თუნდაც უახლოესი ადამიანების ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოთ.

**6. გამონახეთ ძალა და შესაძლებლობა და თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ხმამაღლა ილაპარაკეთ.** ისწავლეთ საკუთარი თავის პატივისცემა, სხვის ფეხის ხმას ნუ აყვებით და თამამად გამოთქვით თქვენი აზრი.

## დღის კალენდარი

### 11 მაისი



ამოდის 04.48
ჩადის 19.06



ამოდის 14.21
ჩადის 02.36

**მოციქულთა 70-თაგანთა; იასონისა და სოსიპატრესი, კერკირა ქალწულისა და სხვათა, მათთანა ვნებულთა (Iძ; მოწამეთა: დადასი, მაქსიმესი და კვინტილიანესი (286ძ; მოწამეთა: სატორნისა, იაკისქოლესი, ფავსტიანესი, იანვარისა, მარსალისა, ევფრასისა, მამიასი, მურინესი, ზენონისა, ევსევისა, ნეონისა და ვიტალისა (დაახლ.63ძ.**

### დაიბადნენ:

**1767 – ჯონ კუინსი ადამსი,** აშშ-ს მე-6 პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1848 წელს.

**1810 – გრიგოლ გაგარინი,** რუსი ფერმწერი, არქიტექტორი, ხელოვნების მკვლევარი. დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოში. გარდაიცვალა 1893 წელს.

**1841 – არხიპ კუინჯი,** ცნობილი რუსი ფერმწერი, პეიზაჟისტი. გარდაიცვალა 1910 წელს.

**1850 – პეტრე მელიქიშვილი,** ქიმიკოსი, პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი. გარდაიცვალა 1927 წელს.

**1904 – სალვადორ დალი,** ესპანელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1989 წელს.

**1916 – ალექსანდრე პროხოროვი,** ფიზიკოსი, გამოიგონა ლაზერი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1920 – იოლანდა მარშევი,** შვეიცარიელი ქართველოლოგი.

**1932 – ტარიელ ჭანტურია,** პოეტი.

**1934 – ჯორჯო არმანი,** იტალიელი მოდელიერი.

**1937 – გიორგი შენგელაია,** კინორეჟისორი.

### გარდაიცვალნენ:

**1937 – ჯორჯ გერშვინი,** ამერიკელი კომპოზიტორი. დაიბადა 1898 წელს.

**1974 – პერ ლაგერკვისტი,** შვედი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1700 წელი** – ბერლინში დაარსდა გერმანიის მეცნიერებათა აკადემია.

**1979 წელი** – თავისი არსებობა შეწყვიტა ამერიკულმა კოსმოსურმა სადგურმა „სკაილებმა“, რომელიც ორბიტაზე 1973 წლის მაისში გაუშვეს.

**1995 წელი** – აშშ-მა და ვიეტნამმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ბუდას დაბადების დღე.**
**თაობათა ხსენების დღე.**
**ლაოსი** – კონსტიტუციის დღე.

**მედიანიუსი**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7519 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3318 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6932 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9844 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4681 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1801 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2104 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1797 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5661 ლარი |

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +11 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +19 |
| ბათუმი. | +7 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +16 |
| თელავი. | +9 – +16 |

## განცხადება

**ვისაც კომფორტულ აგარაკზე ცხოვრება გიყვართ, დარეკეთ 899 16 93 57. აგარაკი სოფელ ტაბახმელაშია, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ნახვა. ფასი შეთანხმებით.**

**აუდიტი 34-84-83, 899 49-19-97**

**რეკლამა** **გ. ახვლედიანის ქ. №19.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– მისმინე, შვილო, – ეუბნება დედა ქალიშვილს, – ნუ დართავ იმ ბიჭს ჩვენთან მოსვლის უფლებას. ხომ იცი, ეს როგორ მანერვიულებს!

– კარგი, დედი. დღეს მე წავალ მასთან. დაე, ახლა დედამისმა ინერვიულოს.

* * *

– მითხარით, ექიმო, როდის გამწერენ?

– გუშინ ხომ მოვიდნენ თქვენი ცოლი და ნოტარიუსი სახლმართველობის პასპორტისტთან ერთად... ასე რომ, ნუ ნერვიულობ, უკვე ამოგწერეს...



* * *

– ხომ შეიძლება, რომ შენი ქმარი მოულოდნელად დაბრუნდეს მივლინებიდან?

– ამაზე ნურც იოცნებებ...

* * *

ის, თუ როგორ უეფექტოდ ფანტავს ფულს ჩვენი ხელისუფლება, მხოლოდ უცოლო კაცს შეიძლება გაუკვირდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.